

ქართველი მომღერალების ციკლი

შ ი ნ ა პ ა რ ს ი :

პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობათა თანამუშაობის დებულებანი სახელმწიფოში და	ვ. ნა — ლი
მათი განხორციელება ჩვენში —	ვ. მოძველი
ომის მსხვერპლი და ერის ზრდა	კაჟი
წითელი არმია	ნ.
ამერიკელთა ჯარი ღიდ ომში	ვ. შ.
მარშალი ე. უოფრი	—
საომარი მოქმედებანი მთაში	ნ. თოხაძე
არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება	ლ. მ.
თანამედროვე ბრძოლაში	გ. ნ.
ქართული «შევარდენი» პარიზში	რედაქციისაგან
მიმართვა ქართველ მხედრებისადმი	„
მოწოდება მხედრებისადმი	

中原書局影印

中原書局影印

三月三十日， 一九三一年。

Nº 8

«მ ხ ე დ ა რ ი»-ს რედაქტორი გამოსთქვამს თავის მშუხარებას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის თავჯდომარისა და ყოფილი სამხედრო მინისტრის,

ნო ၁ რა მი ჰ ვ ი ლ ი ს

ტრალიულად დალუპვის გამო.

3 ი ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ა ს ა მ ხ ე დ რ ი
ხელმძღვანელობათა თანამშაობის დებულებანი
სახელმწიფოზი და გათი განხორციელება ჩვენში

(გაგრძელება)

1 9 2 0 წ ლ ი ს

რ უ ს ე თ - ს ა შ ა რ ი თ ვ ე ლ ი ს თ ვ ი

მეორე პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც გადამშეცვეტი როლი ითამაშა მთელ ამიერკავკასიის ისტორიაში,— იყო 1920 წლის რუსეთ—საქართველოს ომი.

კავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა ამ ომის წინ შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

რუსეთში სამოქალაქო ომი ბოლშევიკების გამარჯვებით დამთავრდა და უკანასკნელნი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სახლვრებს მოადგენ. ამიერკავკასიაში ამ დროს სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის არა ოფიციალური ომი სწარმოებს ყარაბაღში. ამის მიუხედავად, ამიერკავკასიის ერებს ერთვარი კონსოლიდაცია ეტყობათ. აზერბეიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკა ჰქონდა მოვერიებით კავშირს, სადაც სომხეთისათვის დატოვებულია კავშირში შესვლის უფლება. სომხეთისათვის რუსეთის პოლშევიკური სახე უკვე მიუღებელია. ქემალის ოსმალეთი თავისი აქტიური პოლიტიკის პირველ ნაბიჯებს უკვე სდგამს; ეს გარემოება ჰქონდა სომხეთს და აიძულებს მას მოსძებნოს მოკავშირენი. სომხეთი ვერ ახერხებს ეკროპის სახელმწიფოთა უშუალო დაინტერესებას, ვინაიდან უკანასკნელნი კავკასიის ერებში საქართველოს უფრო მეტ ანგარიშს უწევდენ. ყველა ეს პირობები აიძულებენ სომხეთს მოსძებნოს მახლობელი და უშუალო მოკავშირე; ის თანდათან პბედავს საქართველოსთან დაახლოვების ტენდენციებს.

აპრილის ბოლო რიცხვებში, აზერბეიჯანის მთავრობის ერთ-
ჯეუფი პოლიტიკურ გადატრიალებას აზდენს ბაქოში, სადაც რუსეთის
ჯარი მატარებლით შედის.

რა სურდა რუსეთს და რადგადმოიხედა მან კავკასიის ქედს აქეთ?

გამოსცდა თუ არა აზერბეიჯანის საჩლარს ბოლშევიკების პირ-
ველი ეშელონი, მათ აშვარად ცხადჰყვეს ამით, რომ შეუდგენ ძველ, ჯერ
ისევ პეტრე დიდის მიერ ჩამოყალიბებულ ეროვნულ პოლიტიკური გე-
ზის განხორციელებას, იმ გვეზის, რომელიც რუსეთს მიაქანებდა ღია და
გაუყინავ ზღვებისაკენ. რუსეთის ამ მისწრავებას შორეულ აღმოსავლეთ-
ში უძლეველი წერტილი დაუსვა ამომავალი მზის სამყარომ. დასავლე-
თით, ჯერ ისევ რუსეთთან კავშირის მოტრფიალე ბისმარკმა კატეგო-
რიულად აგრძნობინა მას, რომ რუსეთი დასავლეთით არაფერს არ უნდა
დაეძებდეს და იქ ვერაფერს მოიპოვებდნ. დასავლეთის ფრონტი, რუსე-
თისათვის 1914 წლიდან 1920 წლამდე, კატასტროფიულ დამარცხებათა
კრებულს წარმოადგენს. 1920 წლის ამ ფრონტზე მძიმე ომშია ჩაბმუ-
ლი პოლონეთთან. ერთად ერთი გზა რუსეთის ექსპანსიისათვის — ეს ახ-
ლო აღმოსავლეთი-და დარჩა, — გზა, ს. მხრეთისაკენ, — გზა ხევლთა-
შუა ზღვისაკენ და ინდოეთის ოკეანესკენ. ამ ექსპანსიის ერთად ერთი
ბაზა და ნიადაგი მხოლოდ-და-მხოლოდ კავკასიაა, — და კავკასია მთელი
და არა მისი რომელიმე ნაშილი.

ზოგიერთ შინაურ ნეტარმოვლინებულ პოლიტიკოსს სწამდა,
რომ რუსეთს მხოლოდ ბაქო სჭიროდა შინაურ მოთხოვნილებათა დასა-
კმაყოფილებლად და თავის ექსპანსიას მთელ ამიერკავკასიაზე არ გაავრ-
ცელებდა იგი.

რუსეთს შინაურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ბაქოს ნავ-
თი არა სჭიროდა, როდესაც გროზნო მის ხელში იყო. რუსეთის მიერ
დაპყრობილ ბაქოს ბათუმიც სჭირია და საერთოდ მთელი ამიერკავკასი-
აც. მაშასადამე, ბოლშევიკური რუსეთი აშვარად და გარკვეულად შე-
უდგა ამიერკავკასიის დაპყრობას. ეხედავთ, რომ მათთან შეხლა აუცილე
ბლივ მოგზინდება. პოლიტიკური პირობანი ამ სამხედრო გათამაშები-
სა ჩვენთვის საანდაზოდ ხელსაყრელ სახეს ლებულობენ: აზერბეიჯანის
ფართო მასსა წინააღმდეგია ბაქოს გადატრიალებისა, ვინაიდან მის გან-
საკუთრებულ ეროვნულ-რელიგიურ და მატერიალურ მიღრეკილებისა
გამო, კომუნიზმი მისთვის არავითარ პოლიტიკურ მიზანი! არ წარმოად-
გენს, მას აქვს სურვილი და უნარი ბრძოლისა. აზერბეიჯანის ჯარი, რუ-
სეთისადმი მტრულად განწყობილი, ჯერ ისევ განუიარალებელია და ყა-
რაბალშია შეგროვილი.

სომხეთის პოლიტიკური პოზიცია ხელსაყრელი და მტკიცა.

ოსმალეთი ამიერგავგასიის საქმეებში ჯერჯერობით ვერ ჩაერევა აქტიურად, ვინაიდან საფრანგეთი—ინგლისის ინტერესთა განსხვავება მასლობელ აღმოსავლეთში ჯერ არ არის გამოაშვარავებული და მას ანტანტის მთლიან ფრანტთან აქვს საქმე.

რუსეთი პოლონეთთან შძიმე ომშია ჩაბმული. ევროპას რუსეთის საქმეებში ჩარევიდან ჯერ სამუდამოდ არ აულია ჩელი. თუ ანტანტა დღეს ვერ დავაინტერესეთ კავკასიის ბეჭით, — ამას სხვა დროს ვერასოდეს ველარ მოვახერხებთ.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვერ აფასებდა სათანადოთ ამ მდგომარეობას და ვერ ბედავდა მის გამოიყენას. ესეც ხშირი მოვლენაა ისტორიაში: — იქ, სადაც არა აქვთ რწმენა საკუთარ სამხედრო მანქანისადმი, როცა დგება წუთი საგარეო პოლიტიკის მარსის მოგვების ხელში გადასვლისა, ამ ნაბიჯის გადადგმის ეშინიათ და ვერ ბედავენ ხოლოს. ასეთ მოვლენას მუდამ დამლუპველი შედეგი მოსდევს ხოლმე. ამ შემთხვევაში ხმა მხედრობას ეკუთვნის და ავაღმყოფ მდგომარეობას მან სამხედრო დიაგნოზი უნდა დაუსვას.

სამხედრო თვალსაზრისით კავკასიის მდგომარეობა 1920 წლის მაისში შემდეგ-დაგვარად გამოიყურებოდა: — რუსეთი შეუდგა კავკასიის დაპყრობას. ჩვენი არსებობის შერჩენისათვის უშესველად მოგვიხდება მასთან ომი. დღეს რუსეთთან ომი კავკასიის არსებობისათვის ნიშნავს ბრძოლას ბოლშევიკების ორ დივიზიასთან, ბრძოლას აზერბეიჯანის ტერიტორიაზე; ბრძოლას მაშინ, როდესაც აზერბეიჯანის მთელი მასსა ანთებულია რუსეთის წინააღმდეგ, როდესაც მას აქვს სურვილი და უნარი ბოლშევიკებთან ბრძოლისა, როდესაც აზერბეიჯანის ტერიტორიაზე სდგას ჯერ კიდევ განუირალებელი აზერბეიჯანის თითქმის ორი დივიზია, რომელიც მხად არის რუსებთან საბრძოლველად, როდესაც ყველა ამ ძალების გარდა, საქართველოს შეიარაღებული ძალა, როგორც რიცხვით, აგრეთვე ტეხნიკურ საშუალებებით და ზნეობრივი ვარგისობით შეუდარებლივ მაღლა სდგას ამიერკავკასიაში მყოფ ბოლშევიკების ლაშქარზე. რუსეთი პოლონეთთან მძიმე ომშია ჩაბმული და ვერ მოახერხებს ამიერკავკასიაში თავისი ძალების გაძლიერებას.

ამდაგვარ ხელსაყრელ პირობებს თავის ბედის გამოსარკვევად, საქართველო ვერასოდეს ველარ იხილავს. სხვა დროს ეს შეუძლებელი იქნება: — რუსეთს მშევიდობიან დროში უმობილიზაციონდ რამდენიმე ათეული დივიზია ეყოლება და ჩვენ ძალთა განწყობილება სრულიად

უიმედო იქნება საქართველოსთვის. თუ რუსეთმა აზერბეიჯანში მოიკიდა, საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრები მისთვის სრულიად ლია იქნება და სატახტო ქალაქი ამ ლია საზღვრიდან სულ ერთი გადასავალის მანძილზე იქნება; თუ დღეს ასეთი ხელსაყრელი პირობებით ვერ დავაინტერესებთ ვერავის და ვერ მოვიპოებთ მოვაკშირეს ევროპის სახელმწიფოებში, ამას მით უფრო ვერ მოვახერხებთ ჩვენთვის ამაზე ნაკლებათ ხელსაყრელ პირობებში. ისტორია გვთხოვდა სიმწიფის გამოცდის ჩაბარებას, და საქართველოს არსებობის დასაბუთებას მებრძოლ მყერდთა მშერივებით. დღემდე, საუბედუროდ, კაცობრიობა რომელიმე ერის სიმართლეს მხოლოდ მოგებული ბრძოლის ქარჩევილში ხედავს. განგება გვიქმნიდა იდეალურ პირობებს ამისთვის. როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო მდგომარეობა მკვეთრად აღნიშნავდა ერთს:

— დღეს ან არასოდეს!

ამის შეგნება მხედრობას უნდა შეეტანა, უნდა შეეტანა მთელს ერში, მთელ ქართულ მასსაში. ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს შეგნება არამც თუ მთელ მასსაში... პოლიტიკურ ხელმძღვანელობაშიც კი არ იყო შეტანილი. ჩომ ცხადი იყო, რომ ომს ვერ ავიცნენდით თავიდან, რომ პირობები შემდეგ ჩვენთვის უფრო ცუდი იქნებოდა... რად გაურბოდით მას ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში...

მაისის ბოლო რიცხვებში რუსეთთან ზავი იქმნა შეკრული. ტფილისი ამას ზარბაზნების გრიალით შეეგება.

რას ვწეიმობდით!?

ამერ-კავკასიაში შემოვუშვით სამოცი დივიზიის პატრონი ერი, როდესაც შეგვეძლო საკუთარი ძალით, ყოველგვარ დახმარების გარეშე, მისი კავკასიის ქედს იქით გაძევება.

ლია ტფილისიდან ერთ გადასავალზე დავაბანაკეთ მტერი, რომელიც მეხუთმეტე საუკუნედან ისტორიული აგრესივობით მოიბრძოდა სამხრეთისაკენ, როდესაც მის ალაგას ორი დივიზიის პატრონი აზერბეიჯანი უნდა ყოფილიყო. კოშჩის შვილებმა უბრძოლველად მოიკიდეს ფეხი ამიერ-კავკასიაში, როდესაც ეს მეცხრამეტე საუკუნეში სამოციო-დე წლის განუწყვეტელ ომად უდირდათ. ამას თვითონაც არ მოელოდენ; გრძნობდენ, რომ ეს მათ ძალას აღემატებოდა; შემოდგეს ფეხი ამიერკავკასიაში და გაჩერდენ. ყოველი ბრძოლა მათთვის მომაკვდინებელი იყო. მოერდენ ჩვენთან ომს, თვითონცე შემოგვთავაზეს (ბოლშევიკებმა!!) ზავი და მიიღეს ყველა პირობა. ხედავდენ საუცხოოდ, რომ პირველი ფეხის შემოდგმით ამიერკავკასიის ბედი ფაქტიურად უკვე გადა-

ჭრილია. ეს იყო მდგომარეობის იდეალური შეგნება ლენინის მთავრობის მიერ. მოვაწერეთ ხელი ჩვენ სასიკვდილო განაჩენს და ვჭირობდით. ტფილისში სჭირდენ ზარბაზნები და მათი ზარი უერთდებოდა გამარჯვებულთა ზარბაზნების გრიალს.

«რ. ს. ფ. ს. რ.» სისხლში აღრჩობდა განჯის აჯანყებას... ბაქიაში საალყო წესები იქმნა გამოცხადებული.

სამი დღის შემდეგ ტფილისში ჩამოვიდა ბოლშევიკების ელჩი კიროვი. ნახევარი საათის შემდეგ, საელჩოს აივანიდან, საქართველოს მთავრობის გარეშე, მჭერავ სიტყვით მიმართა უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის წევშევრდომებს, სიტყვით, რომელიც თავიდან ბოლომდე საქართველოსადმი ერთ პოლიტიკურ მუქარას წარმოადგენდა. რუსეთ—საქართველოს ურთიერთობა პირველი ნაბიჯიდანვე საქართველოს სუვერენობას შელახვით დაიწყო. სხვაფრივ როდის მოქადაგებულა ეს ერი?

«ქვი ვადის ივერია? ჰკიოდა რუსეთის მთელი პრესა 1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დღეს მთელი რუსული პრესა, პოლიტიკური მიმართულების განურჩევლად, სიხარულით ადასტურებდენ ბოლშევიკების ამიერგავკასიაში შემოსვლის მილიტარულ ნაბიჯს. ადასტურებდენ, ვინაიდან ხედავდენ, რომ ბოლშევიკებმა ძველი რუსული ეროვნული პოლიტიკური ჯგუფის შეთანხმების პირველი და მცნობი უკანასკნელი პუნქტი.

—ქვი ვადის ივერია?! — დღეს ეს გამოძახილი ქართული მკერდიდან უნდა აღმოხეთებილიყო. საუბედუროდ, ამის შეგნების სიმაღლეზე არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი ან პიროვნება არ გამოდგა.

რამ მეგვიყვანა აქამდე?

დღეს ძლიერ ბევრს ენება სურვილი: გაიშვიროს თითი მაშინ-დელი მართველ ჯგუფისაკენ. დღეს დანაშაულია — რომელიმე ბრალ-დებული ჯგუფის ან პიროვნების ქებნა. დღეს დანაშაულია — ვინვეს გასამართლება ან გამართლება. დღეს ჩვენი მოვალეობაა გადავავლოთ თვალი მთელ საქართველოს და შევიგნოთ მთელი მდგომარეობა.

«მეფე ერეკლე რუსეთ—საქართველოს ტრატატის ტესტში ის-სენიებოდნა როგორც მფლობელი შეის და კავის (შეი და კავი ეხლანდელი ყაზახის მაზრაა); ეს ნაწილები მუდამ საქართველოს სამფლობელოს წარმოადგენდენ. ზავის პირობებმა აუცილებლად უნდა დაგვიძრუნონ ყაზახის მაზრა და ზაქათალის ოლქი; გარდა ამისა, მოწინააღმდეგებ

უნდა ავინახლაუროს ჩეენი სამხედრო
ნულ—დემოკრატების «საქართველო».

«ყაზახის მაზრის და ზაქათალის ოლქის შემორჩება აუცილებელ პირობებს უნდა წარმოადგენდეს მომავალ ზავისა. გარდა ამისა, მოწინააღმდეგებ უნდა აგვინაზღაუროს ჩეგნი სამხედრო დანახარჯები და დაგვიძრუნოს ჩეგნი თექვსმეტი ორთ ლმავალი, რომელიც ახერხებივნის ტერიტორიაზე დარჩა»... სწერდა სოციალისტ ფედერალისტების 『სახალხო საქმე』.

მმართველი ჯგუფისათვის ალბათ საკმარისი იყო ის, რაც მან
მიიღო შევრცელი ზავის პირობებით.

კერძავთ. ბატონები, რომ ვერც ერთი პოლიტიკური ჯგუფის
შეგნება ვერ გადასცილდა ზაქათალის ოლქს და ყაზახის მაზრას; ვერც
ერთი პოლიტიკური ჯგუფი ვერ ხედავდა საქართველოს ინტერესებს ამ
მაზრების იქით.

ბატონები! ყაზახის მაზრა და ზაქათალის ოლქი კი არა, რუსეთს
მთელი ამიერკავკასია ბალაჯარამდე საქართველოსთვის რომ გადმოეცა
და თავის ხელში ამიერკავკასიის მხოლოდ ერთი მტკაველი დაეტოვებია
ბალაჯარის იქით, ჩვენ მაინც წაგებული ვიქენებოდით და ჩვენი დამოუ-
კიდებელი არსებობა გალუცინაცია იქნებოდა, სწორედ აი ამ ამიერკავ-
კასიის უკანასკნელ მტკაველის, კავკასიის აზრულ მყოფ ერის ხელში და-
რჩენის გამო. საქართველოსთვის ამ ობის მიზანი ძლიერ მარტივი და
და გარკვეული იყო: — “კავკასიის ჭედს აქეთ არავინ უცხოელი”.

საქართველოს საკუთარი არსებობისათვის უნდა ეტრძოლა. თავ-
გამოდებით მანამ, სანამ ასკერებს კვლავ ხემაზში არ ჩავყენებით.

თუ სახელმწიფო გამოუცდელ პოლიტიკურ ელე-
მენტებს ამის შეგნება ჯერ არა ჰქონდათ, — ეს შეგნება მასსაში სამხე-
დრო ხელმძღვანელებს უნდა შეეტანათ, როგორც სპეციალისტებს. ეს
ჩამ არც ერთ ზემდეგისათვის საიდუმლო თილისმას არ წარმოადგენდა,
რომ ტფილისის სისტემის ბრძოლის წარმოება უფრო უკეთესია დერბენტთან,
ხაჩმაზთან, ვიდრე შავ სოფელში და ძალის უბანში. რატომ მთელმა
საქართველომ არ იცოდა ეს?

საქართველოს ბედი გადაწყვდა იქ, კასპიის ზღვის ნაპირებზე, გადაწყვდა უაპელაციონ და გადაწყვდა უჩვენოდ.

ჩვენ ჩვენი ბედის გადაწყვეტაში ვერ მავიღთ მონაწილეობა, ვერ მოვახდეთ ეს და დავემორჩილეთ სასიკვდილო განაჩენს მაშინ, როდესაც შეგვწევდა ძალა გვეკარნახებინა მოწინააღმდეგებასთვის მთელი

ასი პროცენტი ჩვენი მოთხოვნილებებისა, — მოთხოვნილებებისა, რო-
მელნიც წარმოადგენენ დაღადს მთელ გავკასიისას შავი ზღვიდან კასპი-
ის ზღვას ნაპირებამდე; ღაღადს კავკასიის ყველა თაობათა კავკასიონის
ამაყ მკერდზე რუსული ჩექმის პირველი დაღმის დღიდან; მოთხოვნი-
ლებების, რომელნიც წარმოადგენენ კულტურული კაცობრიობის ინტე-
რესების დაცვას მეოცე საუკუნის ვანდალებისაგან.

ჩვენ რომ არ გვწამდეს საქართველოს მომავალი, საქართველოს
ამ დღებს რითმთა სუდარაში გავხვევდით და ასე გადავცემდით მას
მომავალ თაობას. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვრწამს საქართველოს მომა-
ვალი და ეს გვაძლევს უფლებას შევეხოთ ამ მომავლისათვის იმ საკით-
ხებს, რომელთა შეხებაც ქართველის დაკოდილ მკერდს გმინვასა
ხდის.

ეს არ არის არავისი ბრალდება, ეს არ არის არავისი გამართლე-
ბა. ეს არის უძლეველი სურვილი იმ გზის დანახვისა და შესწავლისა,
რომელიც ურმის გადაბრუნების შემდეგ საუკროვდ სჩანს.

გი! დღეს ბევრს ეჭნება სურვილი ჩვენი დღევანდელი მდგომა-
რეობა რომელიმე ჯგუფს ან პიროვნებას მოახვიოს თავზე, მაგრამ ჩვენ
არ გვაინტერესებს ძველი ანგარიშების გასწორება.

ჩვენი მიზანია წარსულის მიუდგომელი შესწავლა და ამით მო-
მავალის განმტკიცება.

და ეს მიუდგომელი განხილვა გვიჩვენებს, რომ, — რომელი
ჯგუფის ხელშიაც არ ყოფილიყო საქართველოს საჭე მისი ბედის გარ-
დაწყვეტის უამს, — ყველა იმავე გზით მიიყვანდა მას დღევანდელ გოლ-
გოთამდე.

ო მ ი ს გ ს ს კ ვ რ ა რ პ ლ ი დ ა მ რ ი ს ზ რ დ ა

წერილი პირველი:

მ ა ს ა ს ლ ე ა ბ ი ს მ ა ძ რ ა ა ბ ა დ ი დ ი ა მ ი ს დ რ თ ს .

ავსტრო-ჰუმგრეთსა და სერბიას შორის 1914 წელს დაწყებული იმი, რომელიც სულ მალე მსოფლიო ომად გარდაიქცა და ოთხ წელი-წალზე მეტი გაბრძელდა, თავისი შედეგებით მვავალმხრივი იყო და არის. დღეს შევეხები მხოლოდ ომის მიერ ადამიანთა სიცოცხლის განადგურების საკითხს, და ამ მიზნით შევჩერდები მარტო მებრძოლ დიდ სახელმწიფოთა ვითარებაზე.

მოგეხსენებათ, რომ მცხოვრებთა რიცხვის ზრდაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ ფაქტორებს, როგორიც არის: დაბადება და სიკვდილი და ამას გარდა მექანიკური ფაქტორი — გადასახლება ან გადმოსახლება.

პირველი ორი ბუნებრივი მიზნის გამო მცხოვრებთა მატება ყველაზე მეტი იყო ევროპის შემდეგ სახელმწიფოებში: გერმანია, ვენგრია, ფინლანდია, საბერძნეთი და რუსეთი; მეორე რიგში იდგენ: დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, სკანდინავია, იტალია და ისპანეთი. ყველაზე უკან იდგა: საფრანგეთი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანაში, ექიმობისა და ჰიგიენურ და სოციალურ პირობათა გაუმჯობესებით, სიკვდილიანობა მცირდება, მაგრამ ამასთან საერთოდ, პარალელურად მცირდება თაბადებათა რიცხვიც.

იმ წლებად, რომელშიც მამაკაცები საომრად გამოსადევი არიან ითვლება 20—40. საფრანგეთ, გერმანია, ავსტრო-უნგრეთ, ბრიტანეთ და იტალიაში ამ წლების მამაკაცების რიცხვი უდრიდა ერთად 40 და ნახევარ მილიონს და ამას თან ემატება 8 მილიონამდე სამხედრო ჰასკაში შესულნი, ომის განმავლობაში.

ომმა უდიდესი გავლენა მოახდინა მცხოვრებთა რიცხვის ვითა-
რებაზე. პირველ რიგში აღანიშნავია ბრძოლის ველზე ჯანმთელი და
შრომის უნარიანი მამაკაცების დაღუპვა; ომში მამაკაცთა გაწვევის შე-
დეგად მოხდა შეილოსნობის შემცირება და მაშასადამე დაბადებათა
რიცხვის შემცირება. ქორწინება შემცირდა. ტევრი ადგილი გადაიქცა
ბრძოლის ველად და მშვიდობიანი ხალხი იხოცებოდა. ომმა, რასაკვირ-
ველია, წარიტაცა საუკეთესო მშრომელი ძალა სახალხო მეურნეობიდან,
სადაც ქალის, ყმაწვილებისა და მოხუცების შრომამ დაიკავა ადგილი.
ამას გავლენა ჰქონდა მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე, და მოქალაქეთა შო-
რის სიკვდილი გახშირდა, რასაც ხელს უწყობდა ჭამასმის სიმცირე და
მოარული ავადმყოფობანი.

უკვე 1915 წელს მეორე მეოთხედში გერმანია, ავსტრია, საფრან-
გეთში, რომელთაც მილიონიანი ჯარები გაისტუმრეს ფრანგტზე, დაბა-
დებათა რიცხვი შემცირდა 24 და მეტი პროცენტით, ინგლისში მხოლოდ
პროცენტი. თუ 1913 წელთან შევადარებთ შემდევ წლების დაბადებათა
რიცხვს, დავინახვთ, რომ ომის განმავლობაში ეს რიცხვი წლობით
თანდათან მცირდებოდა.

1915 წლიდან 1918 წ. ხუთ დიდ მეომარ სახელმწიფოში [ბელგი-
ასთან ერთა] დაბადებათა შემცირება 1913 წელთან შედარებით უდრიდა
ერთად 35 პროცენტს; შეუა და დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფო-
ში კი — 40 პროცენტს, ანუ თეორეტიული დანაკლისი უდრის — თერთ-
მეტ მილიონ 30.000 სულს, რაც მოსახლეობის ნორმალური ზრდის შე-
ფეხებით არის გამოწვეული. ეს რიცხვი კი უფრო მეტია, ვიდრე ომში
დაღუპულთა რაოდენობა...

გარდაცვლილთა რიცხვმა 1913 წელთან შედარებით იმატა 11 პრ.
[იტალიაში — 25 პროც., ბელგია, ავსტრია, — 15 პროცენტი, გერმანია
— 8 პროც., საფრანგეთი, ინგლისი — 6 პროც.]; ეს აიხსნება მცირე
კვებით, ქალების და მოხუცების სამუშაოზე გასვლით, მოარული სენით
და სხვა.

თუ ომის დროის დაბადებისა და სიკვდილიანობის რიცხვებს
ერთმანეთს შევადარებთ, ეს გვიჩვენებს, რომ ამ დროს [ინგლისს გარდა,
სადაც მხოლოდ მცირე მეტობაა დაბადებულთა!] ყველა მეომარ სახელ-
მწიფოში სიკვდილიანობის რიცხვი სჭარბობს დაბადებულთა რიცხვს.
მაშინ, როდესაც 1913 წელს ამ სახელმწიფოებში [გერმანია, საფრანგეთი,
იტალია, ბრიტანეთი, ბელგია] დაბადებულთა რიცხვი გარდაცვალებულ-
თა რიცხვზე 1825-ით მეტი იყო, 1915—18 წწ. განმავლობაში წლიურად,

საშუალოდ გარდაცვლილთა რიცხვი დაბადებულთა რიცხვთან შედარება
ბით 1120-ით იყო მეტი.

აგრეთვე ქორწინებაც, რასაკვირველია, ომის გავლენაში მოხვდა.
ნაკლი გამოიხატება 44 ნახევარ პროცენტით ანუ დაახლოვებით 2.200.000
ქორწინებით მცირეა, ვინემ ნორმალურად მოსალოდნელი იყო.

ომა შეიწირა პირდაპირ ბრძოლის ველზე და საავადმყოფოში
გარდაცვლილთა შემდეგი რიცხვი:

ომში მოკლულთა რიცხვი

ათას მამაკაცზე
24—45 წლოვან.

ბელგია	34.000	25
გერმანია	1.809.000	149
ავსტრია	812.000	166
პუნგრეთი	645.000	187
საფრანგეთი	1.325.000	187
იტალია	563.000	101
ბრიტანეთი	744.000	88

და სხვა სახელმწიფოებთან სულ ომში მოკლულთა რიცხვი უდრის —
6.064 000...

რგვალად რო ვიანგარიშოთ, ამ ოთხ მეომარ სახელმწიფოს [გერ-
მანია, საფრანგეთი, იტალია, ბრიტანეთი] დაუკარგავს 13 მილიონი ადა-
მიანი, ანუ მთელ მათ მკვიდრთა 7 პროც..

როგორც ხედავთ, ცენტრალ სახელმწიფოთა და საფრანგეთის
ზარალი მეტად დიდია დანარჩენებთან შედარებით. ას მამაკაცში ბრძო-
ლის ველზე დაეცა 15—18 სული. [ბელგიის მსხვერპლის სიმცირე აიხსნე-
ბა მით, რომ ამ ქვეყნის უდიდესი ნაწილი თავიდანვე გერმანელების მიერ
დაკავებულ იქნა].

საერთოდ, რიცხვი დანაკლისისა, რომელიც თავს დაატყდა ოთხ
დიდ მეომარ სახელმწიფოს, გამოიხატება შემდეგ ცხრილში, საიდანაც
აშეკარაა, რომ ომს მოაქვს ზარალი არა მარტო ბრძოლის ველზე ადამი-
ანთა დაღუპვით თუ დასახიჩრებით, არამედ დაბადებათა შემცირებით და

ხშირი სიკვდილიანობით. ასეთი ვითარების გამომხატველი რიცხვი გა-
რტო გერმანიისათვის აღწევს 6 მილიონამდე, რაც თავის თავად ცხადია,
დიდ ზიანს გვიხატავს: —

მეომარ დიდ სახელმწიფოთა ზიანი
ომის განმავლობაში

დაბადებათა შემცირება	გარდაცვლილთა მატება	სულ ზიანი	1914 წელთან შედარებით
ათასი	ათასი	ათასი	ას სულჩე
გერმანია 3.590	2.160	5.750	8,5
საფრანგ. 1.390	1.540	2.930	7,4
იტალია 1.300	1.240	2.540	7
ბრიტან. 840	925	1.765	3,8
სულ	7.120	5.865	6,9

რო წარმოვიდგინოთ, რომ ომი არ ყოფილიყო, ეს იგი ხალხის
მოძრაობის განვითარება ნორმალური ყოფილიყო, ამის მიხედვით, ომის
გამო დანაკლისი შემდეგია ამ ქვეყნებისათვის: —

გერმანიისათვის	6.000.	ათასი
ბელგიისათვის	850.	„
საფრანგეთისათვის	2.560.	„
ბრიტანეთისათვის	2.210.	„

რაც შეეხება გადასახლებას, ომის გამო, ეს მოძრაობა მეტად
შემცირებული იყო.

როგორი-და იყო მცხოვრებთა რიცხვი ომის შემდეგ?

1914 წ.	1919 წლ. დასასრული
ათასი	ათასი
გერმანია	66.170
საფრანგეთი	37.000
იტალია	35.420
ბრიტანეთი	46.560
ბელგია	7.550

სამართლებრივი კულტურული მუზეუმი

ასეთი სასტიკი იყო გამანადგურებელი ძალა და მძიმე შედეგების რომელიც ომმა გამოიწვია. იგი მოითხოვს ხალხის ღონის დიდი ხნით დაზიმვას, რათა იარები მორჩენილ იქნენ ანუ როგორც დოკუმენტი ამბობს: „სოციალპოლიტიკოსი და მოსახლეობის პოლიტიკოსი ეკონომისტპოლიტიკოსთან და ექიმთან ერთად მჭიდროდ გადაბმული უნდა მუშაობდეს“ - ღ.

მაგრამ როგორ ხდება ის, რომ ომების დროს, როცა საუკეთესო ჯანსაღი ადამიანები ბრძოლის ველზე და ლაზარეთებში ჰლევენ სულს, ათასობით, ათი ათასობით და ამ უკანასკნელ ომში კიდევ ასი ათასობით, — როგორ ხდება ამ ზიანის გამოსწორება და ამ დანაკლისის შევსება? რა არის ის კანონი, თუ კანონის მაგვარი მოვლენა, რომელიც აჯანმრთელებს ერის სხეულს და ავსებს იმ რიგებს, რომელიც მას გამოაკლდა. როგორ შესძლო, მაგალითად, საქართველომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში რო სისხლს ლვრიდა, დღემდე მოეტანა თავისი ფიჩიკური არსებობა? აი საკითხი, რომელსაც ჩვენ შემოეგ წერილში შევეხებით.

3. მოძველი.

მითოლი არაი

ბოლშევიკებმა სამოქალაქო ომში წითელი არმიის საშუალებით გაიმარჯვეს და ესლა იმავე არმიით კაპიტალისტური სამყაროს დაპყრობას ფიქრობენ.

სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს ორი მოვლენა საკმაო მოტივია იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რას წარმოადგენს წითელი არმია და რამდენათ გაამართლებს იგი კომუნისტების იმედებს მომავალში.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წითელი არმია დღეს იგივე აღარ არის, რაც იყო სამოქალაქო ომის დროს. როგორც ხელმძღვანელ

ისე არმიელთა დღევანდელი შემადგენლობა დიდათ განსხვავდება სამო-
ქალაქო ხანის შემადგენლობიდან. არც სულიერი განწყობილება წითე-
ლი არმიისა დღეს არ არის ისეთი, როგორიც იყო ტროკის ხელმძღვა-
ნელობის დროს.

სამხედრო კომუნიზმის ხანაში წითელი არმია უმთავრესად შე-
გებოდა მსოფლიო ომის მიერ გახრმილ მატროსებისა და ჯარისკაცე-
ბისაგან, რომელთა საერთო რიცხვი მაშინ ათ მილიონს აღემატებოდა.
მუშები პირველ ხანებში გადამწყვეტ როლს არ თამაშობდენ, როგორც
მებრძოლი ძალა. ისინი მხოლოდ დამატება იყვნენ ამ აღვირწახსნილი
არმიისა.

მსოფლიო ომმა საერთოდ კაცობრიობა ძლიერ ქვევით დააჭანა
ზნეობრივად. მით უმეტეს, მან დიდი გავლენა იქნია უკულტურო რუ-
სეთზე. ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეულ რუსის გლეხს მან პირუტყვუ-
ლი ინსტიქტები კიდევ უფრო გაუზარდა და გაულიზიანა. ომმა კიდევ
უფრო გააველურა და მეოცე საუკუნეში სტეფანე რაზინისა და ემილია-
ნე პუგაჩოვის რაზმი ისევ გააცოცხლა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რაზინი
და პუგაჩოვი თავისი რაზმებით ისტორიას ეკუთვნოდენ, — აღმოჩდა,
რომ მათ ეძინათ.

ლენინი თავიდანვე ამ რაზმებს დაეყრდნო, ისინი დარაზმა და
მოძრაობაში მოიყვანა. ბელადმა უა მასსამ ერთმანეთი ერთი შეხედ-
ვით იცნეს და ერთი მეორეს გადასძახეს. როცა ლენინს ბოლშევიკური
პარტიის ცეკის უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ძალაუფლების ხელ-
ში ჩაგდების საკითხებში, იგი თავის ამხანაგებს დაემუქრა — მატროსებ-
თან წავალო და ცეკა ამით დაიმორჩილა. პარტიის ლიდერმა პარტიისა
და მუშებს კი არ მიმართა მხარის დასაჭრად, არამედ მატროსებს. ეს
პატარა ფაქტია, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი.

ბრძოლის ველზე დამარცხებული რუსის ჯარი შიგნით თავის
ქვეყანას შეესია და ყველა იმ სოციალური და პოლიტიკური უთანასწო-
რობის გადაჭრას რაზინისებური, ძველი გაზაკური მეთოდით შეუდგა.
ამიტომ რუსეთის რევოლუცია უფრო «ველური», და უფრო სასტი-
კი აღმოჩდა, ვინემ სხვა რევოლუციები; უფრო სასტიკი და სისხლიანი,
ვინემ ამას შესაძლებლად ვთვლიდით მეოცე საუკუნეში.

ამ პერიოდში წითელი არმიას ორგანიზაცია და სტრატეგია რა-
ზინისებური, ატამანური ჰქონდა. ბოლშევიკების მოწინააღმდეგებმა ეს
მოვლენა დიდ ხანს ვერ გაიგეს და მტერი შესაფერისად ვერ დააფახეს.
თეთრგვარდიელებმა და სხვებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ ამი აწარ-



მოეს ჩვეულებრივი სამხედრო წესით, ბოლშევიკებმა კი — ატამანურობა, კაზაკური მეთოდით. დღეს, როცა ვეცნობით წითელი არმიის ისტორიას, ვგითხულობთ მოგონებებს და სამოქალაქო ომის ხანის მხატვრულ ლიტერატურას, ზევით აღნიშნული შეხედულება ნათელი ხდება.

2

რასაკვირველია, ბევრს არც დღეს სჯერა ეს და ძველებურად ამ-ტკიცებს, რომ ბოლშევიკებმა დაამარცხეს მოწინააღმდევენი იმიტომ, რომ მათ პრინციპის გეგმებს უდგენდენ მეფის ყოფილი, გამოცდილი ოფიცირებით.

ეს შეხებულება ძირშივე შემცდარია. ძველი გამოცდილი ოფიცირები თეთრ გვარდიელებს მეტი ჰყავდათ, ვინემ ბოლშევიკებს, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს, რადგან თეთ გვარდიელებს არა ჰყავდათ რაზინის რაზმი და ამ რაზმის ბუნებრივი ხელმძღვანელები. წითელ არმიაში კი — პირველ გადამწყვეტ როლს თამაშობდენ ბუდიონი, დიბენკო, კატოვსკი, ბლიუხერი და ასეთები და არა პოლკოვნიკი კომენჯვი და გენერალი და-ლმანტოვი.

ამრიგად, ატამანმა დაამარცხა გენერალი. ეს რაღაც დაუჯერებელი ამბავია. მაგრამ ეს ისტორიული ფაქტია. სხვანაირად არც მეიძ-ლებოდა, ვინაიდან რაზინისა და ლეჩინის რაზმი ენდობოდა ატამანს და არა გენერალს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ომის დროს. მათ ესმოდათ ერთი მეორის სტრატეგიაც და ენაც.

საერთოდ, რევოლუციურ პრინციპის უდგრო უდგება ატამანური სტრატეგია და ორგანიზაცია, ვინემ ჩვეულებრივი ომის, გენერალური.

მეთაურისადმი მასის ნდობასა და დაკვრის სისწრაფეს სამოქა-ლაქო ომში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. საფრანგეთის დიდი რევო-ლუციის იმ პერიოდში, როცა იყობინელები ამყარებდენ თავის იქტა-ტურას, რესპუბლიკანურ ჯარს ხელმძღვანელობდენ უბრალო რონსენი, პერონი, სალდათი მაზული — და ამარცხებდენ ძველი რეჟიმის გამოც-დილ გენერლებს. კარნო, ნაპოლეონი და სხვა გამოჩენილი სარდლები საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა, როცა რევოლუციურ საფრანგეთს გარეშე მტრებიდან თავის დაცვა მოუხდა და როცა მთელი ერი პატრი-ოტიშმა გაიტაცა.

რუსეთმა მხოლოდ სამოქალაქო ომი აწარმოა და ამ ხანებში წი-თელი არმიის სამხედრო წყობაც და ხელმძღვანელობაც პარტიზანულ — ატამანურს ვერ გასცილდა. მისი ამ ხანის ხელმძღვანელები: დიბენკო — ბუდიონები კარგი ატამანები არიან, მაგრამ არა სამხედრო სარდლები.

მეორე კაზირი, ოომლითაც ბოლშევიკები თეთრ გვარდიელებს სცემდნ, რუსეთის ფართო მასსების ინტერესებთან შეფარდებული სწორი პოლიტიკა იყო. ბოლშევიკებმა თავიდანვე სისწორით გაიგეს მასსების მაშინდელი სულისკვეთება და მისწრაფება. გაათავეთ ომი, წადით შინ, ძარცვეთ ნაძარცვი, — ეს ის ისტორიული ოონტუნგებია, ოომლითაც ლენინმა რუსის ხალხს მიმართა და ოომლის სახითაც მეოცე საუკუნის რაზინი გამოიცხადა რუსეთს.

ტროცკის როლი გამოიხატა მასში, ოომ მან ლენინის ლიზუნებსა და პოლიტიკას ატამანები და მათი მასსები შეუკავშირა, მწყობრი ცენტრალური ხასიათი მისცა და ერთი მიზნისაკენ მიმართა. მართალია, მის გარეშე დარჩა ცნობილი ატამანი ბატკო მახნო, მაგრამ არა იმიტომ, ოომ მახნოს ბრძოლის მეთოდი დიდათ განსხვავდებოდა ბოლშევიკური ატამანების ბრძოლის მეთოდიდან. არა. მახნო მოქმედებდა იმ რაიონში, სადაც ძველი ზაპაროგული, ანარქისტული სული კიდევ ძლიერი იყო და ამიტომ მახნოსა და მისი რაზმისთვის ბოლშევიკური ცენტრალიზმისთვის დამორჩილება ძნელი იყო. ერთხელ ორივე მხარემ სიადა შეთანხმება, ცნობილმა ბოლშევიკმა კამენიევმა და მახნომ ხელშეკრულებაც დასდევს, მაგრამ იგი ხანგრძლივი არ აღმოჩდა.

ანარქისტულმა მიდრევილებამ თვით ბოლშევიკების წრეშიც იჩინა თავი. წითელი არმიის დღევანდელი სახ. კომისარი ვოროშილოვი და მისი ჯგუფი, ოომლის ზურგს უკან სტალინი იდგა, მოითხოვდა ტროცკისაგან დამოუკიდებლად მოქმედებას.

ლენინის აგტორიტეტმა და პარტიისციპლინამ ტროცკის მისცა საშვალება, ისინიც თავისი ხელმძღვანელობისათვის დაემორჩილებია. ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მოწინააღმდეგ თეთრ გვარდიელთა ბანაკმა ერთი მთლიანი ხელმძღვანელობა ვერ შექმნა და თავისი ძალები ამით კიდევ უფრო დაასუსტა.

ტროცკის ისტორიული მატარებელი, ოომლის შესახებ ტროცკი თავის მოგონებაში: «ჩემი ცხოვრება», დიდი აღტაცებით სწერს, იყო მართლა ხელმძღვანელი მთავარი შტაბი, მაგრამ თავისებური, განსხვავებული ჩვეულებრივი სამხედრო შტაბიდან. აქ მუშავდებოდა არა მარტო სამხედრო მოქმედების გეგმა, არამედ პოლიტიკაც. მოწოდებებს, ფურცლებს, ოონტუნგებს, აგიტაციას დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. მისი საშუალებით ტროცკი და საერთოდ ბოლშევიკები მასსებს აკავშირებენ საბჭოთა ხელის-უფლების გარშემო და მიყავთ ბრძოლის ველზე.

სწყალება

სხვანაირად არც შეი ლება, ვინაიდან სამოქალაქო ომში სწყალება
არა ტერიტორიის საკითხი, არამედ სოციალურ-პოლიტიკური და ძა-
ლაუფლების. ასეთ დროს, ვინც ფართო მასსებს თავის პოლიტიკისაკენ
მიიმხრობს და მისთვის საბრძოლველად გამოიყვანს, გამარჯვებაც მას
დარჩება.

მართალია, მარტო მიმხრობა-გაჟოყვანა საკრაო არ არის იმის-
თვის რომ გაიმარჯვო. საჭიროა აგრეთვე ამ მასსებს უხელმძღვანელო, მათი ბრძოლა მოაწყო. ლენინმა და ტროცკიმ არივე ეს შესძლებ, მას-
სებიც მიიმხრეს და ბრძოლასაც უხელმძღვანელებს. რასაკვირველია, ბო-
ლშევიკები ბრძოლის დროს მარტო სიტყვიერი ქადაგებით და ოოზუნ-
გებით არ კმაყოფილდებოდენ და ტერორსაც მიმართავდენ თვით წითე-
ლი არმიის მიმართაც კი, მაგრამ მთავარი ეს არ არის. თეთრგვარდიე-
ლებს ტერორი ნაკლები არ ჰქონიათ, მაგრამ ვერას გახდენ.

ერთი სიტყვით, სამოქალაქო ომში ბოლშევიკებმა დიდი ენერ-
გია, ცოდნა და გამოცდილება გამოიჩინეს. მათ წითელი არმიის ორგანი-
ზაცია შეუთანხმეს დროს, რევოლუციას, გარემოს, რუსეთის პირობებსა
და ვითარებას; რუსეთის ხალხის ფსიქოლოგიას, ეს არ იყო ძველი, შა-
ბლონური წესით არმიის შექმნა. ეს არც შეიძლებოდა არსებულ პირო-
ბებში. თეთრგვარდიელებმა ეს ჭეშმარიტება ვერ გაიგეს და დამარცხდენ.

4

სულ სხვაგვარი მდგომარეობა იქმნება სამოქალაქო ომის გათა-
ვების შემდეგ, როგორც წითელი არმიისთვის, ისე ბოლშევიკებისთვის.

წითელი არმიის ურგანიზაცია და ატამანური, სტრატეგია ძლი-
ერ კარგი გამოდგა რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდში, მაგრამ ასე-
თი ჯარით და სტრატეგიით გარეშე მჟერს ვერ გაუმჯობესდები. როცა
სახელმწიფოთა შორის ომი დაწყებულია, მათინ პოლიტიკა გადამჭრელ
როლს ალაო თამაშობს. ამ დროს უკვე პოლიტიკის სადაც ჭობები ია-
რაღმა უნდა გადასჭრას. გარდა ამისა, აქ დაპირდაპირებული არიან სა-
ხელმწიფონი და ერები ერთი მეორეს და არა ერთი ერის კლასები ერ-
თ, მეორეს. ამიტომ, რაც უნდა პოპულიარული და გენიოსი არ უნდა
იყოს სარდალი ან ბელადი, მოწინააღმდეგ სახელმწიფოს ბანკში იგი
სიყვარულსა და ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს. როგორი დემაგოგიური
მოწოდებებითა და ოოზუნებით არ უნდა მიმართოთ მოწინააღმდეგის
მცხოვრებთ, იქ ფართო გამოძახილს ვერ ნახავთ. მით უმეტეს თუ ერი
კულტურულია და ყველა მისი კლასი თავისუფლებით სარგებლობს.

ბოლშევიკები ამაში თავის თვალით დარწმუნდნენ 1920 წლის პოლონეთთან ომის დროს. ტროცკის ეგონა, რომ იგი წითელი არმიით და და თავისი სააგიტაციო ვაგონით პოლონეთშიც ისე ადვილად გაისეირნებდა, როგორც რუსეთის ველზე. ეს ასე არ აღმოჩნდა.

ბუდიონის, ტუხაჩევსკის და სტალინის სტრატეგიას ფრანგებისა და პოლონელების გამოცდილ გენერლების სამხედრო სტრატეგია დაუპირდაპირდა, ხოლო კომუნისტურ დემაგოგიას — პოლონეთის თავისუფლების იდეა, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერი იყო პოლონელ ერში, ვინემ რუსის წითელ არმიაში — კომუნიზმი და პატრიოტიზმი.

მაშინდელი «რევოლუციონური»-ს წევრი, ცნობილი გუსევი წითელი არმიის დამარცხებას, ხსნის იმით, რომ წითელი არმიელების დიდ უმეტესობაში მტკიცედ არ იყო გამჯდარი კომუნისტური იდეია და სჭარბობდა ნაციონალური, წვრილ-ბურჟუაზიულიო. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ღიდი რუსეთის ჯარს კიდევ უფრო გაუადვილდებოდა პოლონეთთან ბრძოლა.

მაგარიც ის არის, რომ ამ დროს წითელ არმიელს არავითარი იდეია არ ჰქონდა. ნაციონალურ-შოვინისტური იდეა შეიძლება არმიის უფროსებში იყო: ტყუილად არ გამოსულა მაშინ საგანგებო მოწოდებით ცნობილი გენ. ბრუსილოვი და არ მოუთხოვია დახმარებოდა რუსის საზოგადოება ბოლშევიკებს პოლონეთთან ბრძოლაში. მაგრამ წითელ არმიელს, როგორც მსოფლიო ომის დროს ნიკოლოზის სალდათს, ასეთი ეროვნული იდეია არ გააჩნდა. ის დლესაც ისე მსჯელობდა — «ჩვენ რიაზანელები ვართ, ჩვენამდე ნემცები ვერ მოვლენ, როგორც მაშინ»-ო.

წითელი არმია, პოლონეთთან ომის დროს, რასავირველია არც კომუნისტური იდეით იყო გამსჭვალული და შეკავშირებული. სამოქალაქო ომის დროს მისთვის კომუნიზმი ბოლშევიზმი იყო, ხოლო ეს უკანასკნელი კი ნიშნავდა — ნაძარცვის ძარცვას. მემალულეთა და ბერეუების გაულეტას და მსოფლიო ომის გათავებას. როცა რაზინის რაზმებმა ამ მიზანს მიაღწიეს, ამის შემდეგ მათ თავისი «კომუნისტური» მოვალებაც გათავებულად ჩასთვალეს.

ამიტომ ტროცკი და ლენინი ტყვილად ფიქრობდნენ, რომ წითელი არმიის სახით ისინი კომუნისტურ არმიას ხელმძღვანელობდნენ და კომუნისტური იდეით გატაცებული არმიელებით ევროპას დაპყრობდნენ.

ვარშავასთან ბრძოლამ ეს ილუზია გაფანტა.



წითელ არმიას არ აღმოაჩნდა არც კომუნისტური სული და ასეთი
რუსული პატრიოტული. ტეხნიკა და სტრატეგია არ უვარებოდა და შე-
დეგიც შესაფერისი მიიღო. წითელმა არმიამ პოლონეთთან ბრძოლაში
ისეთივე სასტიკი და თავმომჯრელი დამარცხება განიცადა, როგორც მე-
ფის ჯარმა 1915 წ. კარპატებში გერმანელებთან ომის დროს. რუსეთის
სახელმწიფოს ჩამორჩენილობამ და რუსის გლეხის უკულტურობამ რუ-
სის მხედრობას ყირიმის ომიდან დაწყებული და პოლონეთთან ბრძოლით
გათავებული, გამარჯვება არ აღირსა.

დღეს ამას ბოლშევიკებიც ხედავენ და ცდილობენ რუსეთი და
მისი არმია რამდენიმე წლის განმავლობაში გარდაქმნან ისე, რომ მათ
ევროპასა და ამერიკას გაუსწრონ. ამ მიზნით წითელი არმიის გარშემო
ბოლშევიკები დიდ მუშაობას აწარმოებენ.

თუ როგორია ეს მუშაობა და რამდენად გაუმართლებს მათ წი-
თელი არმია იმედებს, — ამაზე შემდეგ.

კ ა ჭ ი

ჩეხია, 1931 წ. 15 იანვ.

აგენტურული ჟარი დიდ ომში

« ს ა ე რ თ ა გ ა მ გ ე ბ ლ ა ბ ი ს ა თ ვ ი ს 』(*)

მოსალოდნელი დამარცხების წინ, შე ინკლასისა და საფრანგე-
თის მთავრობანი შეთანხმდენ არა--სრულყოფილ „საერთო გამგებლო-
ბაზე“, 1918 წლის მარტის 26, რის შესახებაც უკვე რამოდენიმე თვე სწა-
რმოებდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რომ გასაგები შეიქმნეს შემდეგი
მოვლენები და რომ შესაძლებელი გახდეს მათი დაუასება, საჭირო
გავეცნოთ ამ „საერთო გამგებლობის“ ხასიათს და უფლებებს.

* იხ. „მხედარი“ ნომერი 7.

მოკავშირეთა ჯარების თანამშრომლობის საკითხი დაისვა ომის დაწყებისათანავე. მაგრამ ვერ იქნია განხორციელებული, თუ არ მივიღებთ მხედრულობაში, შემთხვევითსა და არა-სრულყოფილ გადაწყვეტილებებს.

კალე-ს [საფრანგეთის ქალაქი] კონვენციის ძალით [1907 წელი თებერვლის 26] ინგლისის ჯარის მთავარსარდალი მაოშალი პეიგი ექვემდებარება საფრანგეთის ჯარის მთავარსარდლის გენ. ნიველ-ის დირექტორებს. ამ უკანასკნელს ევალებოდა ორივე ჯარის მოქმედებათა კოორდინაცია. მხოლოდ გარკვეულად იყო აღნიშნული, რომ ამ შეთანხმება—კონვენციის მიზანია უძლოესი შეტევები, რის შემდეგაც ორივე მთავარსარდალი ხდება ერთი-მეორესაგან დამოუკიდებელი. გენერალური შტაბების შეთანხმებული მუშაობა თუ იძლეოდა შედეგებს შშვიდ პერიოდებში ან და იმ ოპერაციებისათვის, რომლის ინიციატივაც მათ ხელთ იყო, ვერ შესძლებდენ გამკლავებოდენ ყოველივე მოულოდნელობას, მოწინააღმდეგის სწრაფ და ძლიერ შეტევებს, რაც, როგორც შეიძლებოდა გათვალისწინება, უფრო გაძლიერდებოდა და უფრო გახშირდებოდა რუსული ფრონტის დანგრევის შემდეგ.

ყოველივე ამის გამო 1917 წლის აგვისტოს დამლევს პენლევემ, როგორც სამხედრო მინისტრმა, გააძა მოლაპარაკება ლოიდ-ჯორჯთან. ეს მოლაპარაკება გაგრძელდა ორი თვე, დაამუშავეს შეთანხმების კეგმა.

ლოიდ-ჯორჯი „საერთო გამგებლობის“ მომხრე იყო. პენლევეც და ლოიდ-ჯორჯიც ფიქრობდენ და ერთი და იმავე მოსაზრებებით, რომ აუცილებელი იყო გენ. ფოშის არჩევა საერთო უფროსად. მხოლოდ ლოიდ-ჯორჯის აზრით, ეს უმაღლესი უფროსი უნდა ყოფილიყო თანაბრად დამკიდებული ყველა მთავრობათაგან.

გენ. ფოშს, მაშასადამე, უნდა მიეტოვებია საფრანგეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსობა.

გარდა ამისა, ინგლისის ერის შემეცნება, აგრეთვე როგორც მისი ჯარის, შეუძლებლად ხდიდა უცბად „საერთო გამგებლობის“ ცხოვრებაში გატარებას. საჭირო ხდებოდა ნელ-ნელა სვლა ამის მისაღწევად—ჯერ უნდა შექმნილიყო მოკავშირეთა საერთო გენერალური შტაბი გენ. ფოშის მეთაურობით. ამასთანავე უნდა ჩაებარებიათ ფოშისათვის მოკავშირეთა მთელი სათადარივო ჯარი. ამ ჯარით მას ეძლეოდა საშვალება მიშველებოდა ორივე ჯარს [ინგლისის და საფრანგეთის] ის საშიშ აოგილებში, სადაც გერმანელები უთუოდ ეცდებოდენ გარღვევას. ერთგვარად ეს იქნებოდა „საერთო გამგებლობის“ განსაზიერება—იბადება საქმე

სახელის დაურქმევლად. ამით შესაძლებელი ხდებოდა საშიშროების თანამდებობის გადაწყვეტილების აუდინის და ამავე დოკუმენტის საზოგადოებრივი აზრი ეჩვეოდა „საერთო გამგებლობის“ მნიშვნელობას. ეს საღლოო აზრი კი უნდა განხორცი-ელებულიყო მაშინ, როდესაც ყველას შემეცნება სათანადოთ იქნებოდა მომზადებული.

გადაწყვეტილი იყო მოკავშირეთა საბჭოს სხდომა პარიზში [ამე-რიკელების თანამდებობით] ინგლის — საფრანგეთის შეთანხმების მუხლების [„საერთო გამგებლობის“] საგამათოდ. მაგრამ კაპორეტოში [იტალია] მომხდარ ამბებმა აიძულეს ლოიდ-ჯორჯი და პენლევე სასწრაფოდ გა-მგზავრებულიყვენ იტალიაში. და რაპალოში გადაწყდა ცნობილი „ვერ-სალის სამხედრო კომიტეტის“ დაარსება მუდმივი გენერალური შტაბით მასთანვე. ფოში ამ გენერალურ შტაბში წარმოადგენდა საფრანგეთს და ამასთანავე თავმჯდომარეობდა. ამის გარდა, მასვე ჩაბარეს მოკავში-რეთა დივიზიების საურთო სათადარიგო ძალები, რათა შესძლოს ხოლმე ფრანგულ და ინგლისურ ჯარების შემაერთებელ პუნქტების გამაგრება — დაცვა.

ეს გადაწყვეტილება ეცნობა მოკავშირეთა მთავრობებს და აგრე-თე ამერიკას, რომელსაც მომხრობას სთხოვდენ.

უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, თუ მოკავშირეთა „საერთო გენერა-ლური შტაბის“ დაარსება ოფიციალურად გამოცხადდა რაპალოში, ეს საურებით არ მომხდარა კაპორეტოს ამბების გამო [1917 წელს ნოემბრის პირველ რიცხვებში]. ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე იმას, თუ როგორ ეს-მოდა ლოიდ-ჯორჯს ამ გენერალური შტაბის უფროსის ფუნქციები — ეს უფროსობა კი მიენიჭა გენ. ფოშს.

გენ. ფოშს სურდა ახალი ფუნქციების ასრულება ფრანგული ჯა-რის გენერალური შტაბის უფროსობასთან ერთად რაპალოში. ხანგრძლი-ვი მოლაპარაკების დროს, ფოშს მიეკა საშუალება დაეცვა კრებაზე თა-ვისი აზრი.

ლოიდ-ჯორჯის და ფოშის დიალოგი საკმარისად მკვირცხლი იყო. ბოლოს ინგლისის პრემიერმა ასე დაასკვნა: გენ. ფოში იქნება მრჩე-ველი სხვა მთავრობების იმდენად, რამდენადაც საფრანგეთის მთავრობის. აუცილებელია სრული მისი დამოუკიდებლობა თავის დასკვნებში და გადაწყვეტილებებში. პირადათ ჩემთვის საწყენი იქნებოდა ვიცოდე, რომ გენ. ფოში არ არის ისეთივე მრჩეველი ინგლისის მთავრობის როგორც საფრანგეთის-ო... .

რაპალოს დადგენილების შემდეგ არ გასულა რამოდენიმე დღე რომ კლემანსომ შესცვალა პენლევე მთავრობის თავმჯდომარეობაშე. კლემანსომ მიიღო «ვერსალის სამხედრო კომიტეტის» დაარსება, მაგრამ ფოშის ნაცვლად, რომელიც დასტოვა საფრანგეთის გენერალური შტაბის უფროსად, მოკავშირეთა საერთო გენ. შტაბში დანიშნა გენ. ვეიგანი. ამნაირად, ფოში პკარგავდა ინტერნაციონალურ ხასიათს.

უშედეგოდ მოითხოვდა ფოში, ოთხი თვის განმავლობაში, ჩაებარებიათ მისთვის მოკავშირეთა დივიზიების საერთო სათადარიგო ნაწილების უფროსობა, რაც ლოიდ ჯორჯისაგან და პენლევესაგან დაპირებული პქონდა.

1918 წლის თებერვლის 2-ს «ვერსალის სამხედრო კომიტეტი» შეეხო ამ საკითხს ფოშის დაუინებითი მოთხოვნით. კომიტეტი ნიშნავს ფოშს სათადარიგო ნაწილების უფროსად, რაც დაუყონებლივ უნდა შექმნილიყო. შემუშავებული იქმნა პროტოკოლი ფოშისა და მთავარსარდლების უფლებათა განსაზღვრით.

თებერვლის 19-ს გენ. პეტენი იძლევა რვა დივიზიას საერთო სათადარიგო ნაწილების შესადგენად. გენ. დიაზი, იტალიის ჯარის მთავარსარდალი, იძლევა ექვს დივიზიას. მარტის ოს გენ. პეიგი, ინგლისის მთავარსარდალი, აცხადებს, რომ მას არ შეუძლია არც ერთი ჯარისკაცის მიცემა ფოშისათვის.

მარტის 14-ს ლონდონში დაუბრუნდენ ისევ ამ საკითხს. ფოში სთხოვს პეიგს რამოდენიმე დივიზიას. პეიგი ენერგიულად ასაბუთებს თავის უარს.. კლემანსო ემბრობა პეიგს და არ აძლევს ფოშს პასუხის საშვალებას. მეორე დღეს ფოში აცხადებს პროტესტს მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ; გუშინ არ მოისურვეს მისი გაგონება; მას უნახავს მოკავშირეთა ბრძოლები და კარგად იცის, რა მოხდება, თუ არ იქმნა შეთანხმება. სწორედ ასეთი ბრძოლებია პერსპექტივაში და არავითარი შეთანხმება არ არსებობს სხვა და სხვა ჯარების ნაწილების გამოსაყენებლად.

იმის მიუხედავად, რომ ფოშის ამ განცხადებამ მოახდინა შთაბეჭილება ლოიდ ჯორჯზე, — მაინც წინა დღის დადგენილება რჩება უცვლელად.

ფრანგულ და ინგლისურ წრეებში სხვა კონცეპციები იყო წამოყენებული: — საერთო გამგებლობის დაარსებამდე საჭიროა ასეთივე ერთობა მოკავშირეთა მთავრობებისა. განა უკეთესი გამოსავალი არ იქნებოდა ერთი გამოაჩენალი მოქალაქე [ცივილი] საერთო სამხედრო საქმის



უფროსად, რომელსაც გენ. ფოში ეყოლება თავის შტაბის უფროსაც და

და სწორედ ასეთი გეგმა წარმოუდგინა ფოშს გენ. ვილსონმა, ინგლისის მთავრობის დასტურით, მარტის 25-ს საღამოს, როდესაც ინგლისელების მე-5-ე არმია სრულიად განადგურებული იხევდა გერმანელების მოწვავებული ჯარის წინაშე. „არა, უპასუხა მას ფოშმა; ან უნდა ვგბრძანებლობდე ან არა“. [ონ კომანდ უ ონ ნე კომანდ პა].

ინგლისური ჯარი თითქმის განადგურდა, დამარცხდა. მარტის 26 მოხდა ისტორიული მოლაპარაკება ქ. დულანს-ში. მოახლოებული საშიშროების წინაშე ყველა შეთანხმდა მიენდოთ ფოშისთვის ოპერაციათა კოორდინაციის საქმე ინგლისურ-ფრანგულ ჯარების შემაერთებელ პუნქტებში. ეს არაა ჯერ კიდევ საერთო გამგებლობა; ეს უფრო რაპალოს შეთანხმების განხორციელებაა. თვით აპრილის 3-ის ბოვის კონვენცია [დამატებითი დულანის კონვენციისა] აძლევს ფოშს „სამხეთო აპერაციების სტრატეგიულ ხელმძღვანელობას.“

ინგლისელები მოითხოვენ შემდეგ შესწორებებს: ყოველი მთავარ სარდალს ექნება უფლება მიმართოს თავის მთავრობას თუ კი, მისი აზრით, მის ხელქვეით მყოფ ჯარს მოელის რაიმე საშიშროება გენ. ფოშისაგან მიღებული ინსტრუქციების მიხედვით.

ამას დაერთო მეორე შესწორებაც: ყოველი მთავარსარდალი ასრულებს თავის უფლებებს თავისი ჯარის გამგებლობაში.

ასაც შეეხება ამერიკელებს, ესენი მხოლოდ 1918 წლის მაისის 2-დან თანაშრომლობენ უმაღლესი გამგებლობის ორგანიზაციისთვის. გენ. პერშინგმა მიიღო მანზატი ქაბევილის სამხედრო ბჭობაზე დასასწრებლად. ამ კორებაზე ფოშმა მიიღო სახელშოდება — მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი [საფრანგეთში მყოფ ჯარების] ამერიკული ჯარითურთ.

მაგრამ რამდენი სხვა შეკვეპა ფოშის უფლებისა! აი მაგალითად:

ამერიკული ჯარი „ემორჩილება. უშუალოდ თავის უფროსის ავტორიტეტს და იბრძვის საკუთარი დროშის ქვეშ“. და კიდევ, „დივიზიები ან კორპუსები შესდგებიან საკუთარი არტილერიით და ბარგეულობით და ყოველივე ეს მთავარსარდლის სურვილისამებრ, რომელიც ვალდებულია შაინც გაიგოს მოკავშირეთა მთავარსარდლის აზრი ამის შესახებ“.

აქედან ცხადი ხდება, რომ გენ. ფოშს აღარ აქვს ინტერნაციონალური ავტორიტეტი და რომ მას არ ჰქონდა უფლება ბრძანებების

გაცემისა საფრანგეთის მთავრობის სახელით. ცხადია აგრეთვე, რომ მეორე მხრივ უფლებები ეგრე განმარტებული და განსაზღვრული, მას აძლევდა საშუალებას მხოლოდ ინგლისისა და ამერიკის დივიზიები გადა ეყვან-გადმოეყვანა, მათ დაუყოფლად. და განა 1918 წლის მაისში, ომის ყველაზე უფრო კრიტიკულ მოქმედში, მარშალი ჰაიგი არ ეწინამდეგება ფოშის უფლებებს ინგლისის რეზერვის გამოყენებისთვის საფრანგეთის ჯარის ფრონტზე!

ფოშს რომ მოესურვებია დესპოტიური ან უხეში ბრძანებლობა მოკავშირეთა რომელიმე ჯარზე, ამით ის ჩაფუშავდა ყოველივეს უშედეგოდ და თანაც შელახავდა საფრანგეთის მხარეზე მებრძოლ თრი მოკავშირე ერის თავმოყვარეობას.

ყოველივე ამის შემდეგ განვიზილოთ, რას უსაყვედურებს კლემანსო გენ. პერშინგს. ეს საყვედური [უკეთ — კრიტიკა] სამი დებულებით გამოითქმის:

1. აუცილებლობა [მდგომარეობის მიხედვით] 1917 წლის მაისიდან ამერიკული ეფექტივების [ჯარის] გადმოყვანის აჩქარებისა.

2. აუცილებლობა უპირატესობისა ქვეითი ჯარის გადმოყვანის დროს — პირველ რიგში, ქვეითელები — რამოდენიმე კვირის განმავლობაში, სხვა ნაწილების წინ.

და 3. უწესრიგობა და შექუჩუქება ამერიკული ჯარისა განვიზილოთ ეს ბრალდებანი: —

1918 წელს მაისში, მდგომარეობა მართლა საშინელია. თვით პარიზი განსაცდელშია. ფრანგ-ინგლისური არმიების მსხვერპლის რაოდენობა ისეთია [მარტის დამლევიდან მაისის დამლევამდე], რომ იბადება შიში ივლისისათვის გათვალისწინებული დიდი შეტევის მოწყობის შესაძლებლობაში. ამ შემთხვევაში, დასაშვებია, რომ ომი გაგრძელდეს 1919 წლამდე და ისიც ძალიან მძიმე და ძნელ პირობებში. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს, რომ ამერიკელებმა ააჩქარონ ჯარის გადმოგზავნა. კლემანსო და ფოში მოითხოვენ, რომ მაისში ჩამოყვანილი იქმნას 130 ათასი ჯარისკაცი და ივნისში კი 150 ათასი.

განა გენ. პერშინგმა, ან ამერიკის მთავრობამ სთქვა რაიმე საწინაღმდეგო? ფაქტები ამბობს შემდეგს: მაისში ჩამოყვანილ იქმნა 242 ათასი ჯ. კაცი, ივლისში 278 ათასი და ივლისში 300 ათასი. და რადგან საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებმა დაუშვეს იზის შესა-

ძლებობია, რომ ომი იქნება არ გათავდეა 1918 წელში, ამისთვის ეთხოვთ
ამერიკას გენ. ფოშის სახელით, საფრანგეთში 100 დივიზიის გამოყვანის
გათვალისწინება. ამაზე პრეზიდენტი ვილსონმა მხოლოდ ეს კითხვა დას-
ვა: „რისთვის საზღვრავთ ხუთი მილიონი ჯ. კაცით ესე იგი ასი დივი-
ზიით“ - ა.

რამდენად საფუძვლიანია მეორე ბრალდება? გენ. პერშინგმა შე-
ასრულა მოკავშირეების სურვილი — თავის დივიზიებში გააძლიერა ფე-
ხოსნების [ქვეითი ჯარი] და ტუვიამფრქვეველთა ნაწილები. აქაც ციფრე-
ბი უფრო ნათელყოფენ სინამდვილეს. მაისის დასაწყისში ფოშმა მოით-
ხოვა, კლემანსოს თანხმობით, რომ ჩამოყვანილ იქმნას პირველ რიგში
120.000 ქვეითა და ტუვია მფრქვეველთა ჯარი. ეს სურვილი გადაჭარბე-
ბით იქნა შესრულებული: მაისიდან ივლისამდე ჩამოყვანილ ჯარში 250
ათასი ფეხოსანი იყო.

რაც შეეხება მესამე ბრალდებას, ამაზე შეიძლება არც კი დირ-
დეს შეჩერება. განა, იმისთვის მხოლოდ, რომ მთავრობის თავმჯდომა-
რის აქტომბილი შეაჩერეს სამი საათით შარა გზაზე შექუჩუჩების გამო
[ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ] შეიძლება შეურაცყოფის მიყენება და
კრიტიკა იმ დიდი არმიისა, რომელმაც გადმოლახა ატლანტიური ოკეა-
ნე საბრძოლველად!?

მაგრამ ყველაზე უფრო სავალალო ამ კამათში ის არის. რომ
რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ამერიკელი მთავარსარდალი ექებდა მი-
ზენებს, რათა დაეგვიანებია თავისი ჯარის ხაზში გასვლა. სინამდვილე
კი სულ სხვა რასმეს ამბობს. 1918 წლის მარტის ცუდ დღეებში გენ. პე-
რშინგი დიდ პატივად სთვლიდა თავისი ნაწილებისთვის ბრძოლებში მო-
ნაწილეობას. «ჩევნ აქ ვართ, რომ მოვკვდეთ» ეუბნებოდენ ფოშს პერში-
ნგი და ბლის-ი. ერთ-ერთი მაგალითი, როგორიც საფრანგეთის ჯარს არ
უნახავს არავისაგან დიდი ომის დროს. გენ. პერშინგმა ჭინადადება მის-
ცა ფრანგებს, რომ მისი დივიზიები, ხაზში გასვლის ასაჩქარებლად, იქ-
მნენ დაყოფილნი და გაყვანილნი ცეცხლში, ფრანგულ დივიზიებში შე-
რეულნი. თუ მეორე მილიონი ამერიკელებისა, საფრანგეთში მყოფი,
1918 წლის ოქტომბერში იღებს მხოლოდ მცირე მონაწილეობას ბრძო-
ლებში; თუ მესამე მილიონმა ვერ მოასწრო ატლანტიური ოკეანის გად-
მოლახვა; თუ ზავმა შეაჩერა ამერიკელების არაჩეულებრივი გაქანება
— ვის შეუძლია განხომოს, თუ რამდენად დაწვა მათი სიმძიმე მოწინა-
ალმდევის ნებისყოფას და მის გადაწყვეტილებას იარაღის დაყრისათვის.

დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი: ამერიკის მთავრობა

შეეჩება ძალიან ფართო სამხედრო პრობლემას, ძალიან გადახლართულ კულტურულ უცველაში ნაკლებ მოსალოდნელს მათვის, ვინემ სხვა რომელიმე სახელმწიფოსათვის. იმ ჯარის როლი დიდ ომში, რომელიც მან შექმნა, ამ ჯარის უფროსობა — ლირსია იმ დიდი ნაციის, რომელმაც სიმართლის სამსახურს შესწირა მთელი თავისი ძალები უყოყმანოდ და ურეზერვოდ.

6. გ.

მარშალი ე. ზოჭრი

[1852—1931]

იანვრის სამს პარიზში გარდაიცვალა უცველასათვის ცნობილი მარშალი უოფრი, «მარნაზე გამმარჯვებელი». გარდაიცვალა თითქმის ოთხმოცი წლის, მძიმე ოპერაციის შემდეგ.

მთელი ქვეყანა გამოეხმაურა ამ დაკარგვას და შეუერთდა ფრანგი ერის გლოვას.

მარშალი ფოშის შემდეგ, რომელიც თითქმის ორი წელია, რაც დაკარგა საფრანგეთმა, განისვენა მარშალ უოფრმაც. საფრანგეთს მოაკლდა ორი გამოჩენილი მხედარი.

ომის დაწყების წინ, უოფრი დანიშნულ იქნა მთავარსარდლად და ამ ხარისხში მოუხდა მას ომის უძნელესი პერიოდის ჩატარება — ჯარის გარდაქმნა-რეორგანიზაცია მთელი გეგმების ახლად დამუშავება.

დიდი დახევების შემდეგ, უოფრმა მოამზადა და სისრულეში მოიყვანა ოპერაცია, რითაც შეჩერებულ იქმნა გერმანელების წინსვლა; — ამას დაერქვა «მარნაზე გამარჯვება»

1916 წელში მიენიჭა მარშლობა. 1917 წელს კი გაგზავნილ იქნა ამერიკაში სპეციალური მისიით. 1918 წელს არჩეულ იქნა აკადემიაში და 1920 წელში სამხედრო საბჭოს წევრად.

1930 წელს დაესწრო მისივე ძეგლის გახსნას ქ. მანტიიში.

აი უოფრის ცნობილი ბრძანება, გაცემული 1914 წლის სექტემბრის ექვსს. შედეგი იყო მარნაზე გამარჯვება. —

«იმ დროს, როდესაც იწყება ბრძოლა, რომლისაგანაც დამოკიდებულია ქვეყნის გადარჩენა, საჭაროა ეთქვას ყველას, რომ ასეთ დროს შეუძლებელია დახევაზე ფიქრი. მთელი ძალანე უნდა იყოს მიმართული შეტევისათვის და მტრის დასამარცხებლად.

ნაწილები, რომელნიც ვერ შესძლებენ წინ წაწევას, უნდა ეცადონ რათაც არ უნდა დაუჯდეთ ეს მათ, არ დასთმონ დაკავებული პოზიციები. უნდა გაწყდენ ადგილებზე და არ დაიხიონ. არ იქნება პატიებული არავითარი სისუსტე.

1914 წლის სექტემბრის 6.

მთავარსარდალი გენერალი უოფრი.»

აკადემიაში მიღების დღეს სწორედ ეს ბრძანება იქნა წაკითხული.

უოფრი იყო მხედარი სულითაც და აღზრდითაც. იცოდა რა, რომ 1870 წელს მოკყებოდა აუცილებლად ახალი ომი, ის 1912 ამბობდა ამის შესაძლებლობაზე- მშვიდათ, ყოველი სიტყვის აწონ-დაწონით. უოფრი ემზადებოდა ამ ომისათვის: —

«მომავალ ომს არ ექნება დიდი შანევრების ხასიათი და არც გენერლები მოიგებენ მას: ესენი იქნებიან პოლკოვნიკები და შეიძლება გუნდის უფროსებიც»...

უოფრი გრძნობდა აგრეთვე, რომ მომავალი ომი იქნებოდა ხანგრძლივი და იწარმოებდა თხრილებში და არა მინდვრად.

«ის ჯარი მოიგებს, რომელსაც ექნება მეტი მოთმინება, რომელიც იქნება მეტად დაფარული, რომელსაც ექნება მეტი ენერგია, მეტი რწმენა საბოლოო გამარჯვებაში».

მარშალი უოფრის დასაფლავება მოხდა იმავე წესით, როგორც მარშალი ფოშის. დაესწრენ ყველა ქვეყნის დელეგაციები და ინგლისის — ბელგიის ჯარის ნაწილები. მთელი პარიზი და საფრანგეთის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ხალხი აცილებდა მის ცხედარს, რომელიც დაასვენეს დროებით ინვალიდების სახლში; შემდეგ კი დასაფლავებული იქნება საკუთარ მამულში, ლუვენშიენ-ში.

ქართველ მხედართა კავშირმა ოფიციალურად მონაწილეობა მიიღო უოფრის განსვენების პროცესიაში გენ. ალ. ერისთავის სახით.

საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა ბ-ნი ჩხენგელი.

ს ა მ ა რ ი

მ ოქ მ ე დ ე ბ ა ნ ი მ თ ა შ ი

ა თ ა ს ე უ ლ ი ს ა ს ა პ ა ლ ნ ე ს ა ბ ა რ გ ე

საბრძოლო საბარგოში თვითეულ საპალნიან ცხოველს ახლავს
თავისი ჩალანდარი, რაზმის საბარგოში კი ერთ ჩალანდარს ორი საბარ-
გო ჯორი ჰყავს. ეს ორი ჯორი მიბმულია ერთი მეორესთან საგმაოდ
გრძელი ჯაჭვით, რათა თვითეული ცხოველის მოძრაობა თავისუფალი
იყოს.

ვიწრო და ძნელ ბილიკებზე კი თვითეულ ცხოველს თავისი ჩა-
ლანდარი უნდა ჰყავდეს. ჩალანდარმა ცხოველის თავთან უნდა იაროს
თა ყოველთვის ხევის მხარეზე იმყოფებოდეს.

როდესაც, ვიწრო ბილიკებზე სიარულში, ერთი მხრივ კლდეა
და მეორე მხრივ კი ხევი (ხრამი), ჯორი დადის უფსკრულის კიდეზე და
რაც შეიძლება შორდება კლდეს, რათა საპალნე ან მიახალოს მას. ყო-
ველი ცუდი ნაბიჯი საგმაო ხევში გადაჩეხისათვის. მაგრამ ჯორს
მაგარი მუხლი და მტკიცე ნაბიჯი აქვს და იშვიათად გადასდგამს
ცუდ ნაბიჯს. როდესაც გადაიჩეხება. უმეტეს შემთხვევაში ეს ან მისი
ჩალანდრის ბრალია, ან ბილიკის კიდის ჩანგრევის, ან კიდევ საპალნის
ტვირთი გადასძლევს ხოლმე.

დასვენების დროს, სახიფათო ბილიკებზე ცხოველებს პირი ხე-
ვისაკენ უნდა მიუბრონონ და ისე გააჩერონ, რადგან ჯორს უკან დახე-
ვის ჩვეულება აქვს და თუ უკანა ნაწილი ხევისაკენ მიმართა, შესაძლე-
ბელია გადაიჩეხოს.

დაკიდულ დალმართში საპალნე კარგად უნდა იქმნეს მოჭერილი
და თუ საჭიროა, თვითეულ ცხოველს კუდზე უნდა დაეკიდოს თითო
ჯ. კაცი. მაგრამ აღმართში და ვაკეში სიარულისას ეს ჩვეულება სასტი-
კად უნდა აიკრძალოს.

ყოველი სიფრთხილის მიუხედავად, გათვალისწინებული უნდა იქმნას უბედური შემთხვევები და როდესაც საბარგო ცხოველი ან დაწება, ან გადაიჩება, ამისათვის წინასწარ უნდა იქმნას დანიშნული თვითეულ გუნდში მშველელთა ჯგუფი, რომელიც დაუყონებლივ მიეშველება ჩალანდარს და ხშირად თავიდან ავიცილებთ, თუ ჯორის გადაჩენვას არა, კოველ შემთხვევაში, ტვირთვის დაკარგვას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯორს მთაში მოქმედებისას. ეს ერთად ერთი პრაქტიკული საშუალებაა საბარგოების საზიდავად. საუბედუროდ, მათი რიცხვი უნდა მცირე იყოს, რათა არ დამძიმოს თვით ჯარის მოძრაობა. მეორე მხრივ კი, თითო ჯორის ტვირთი (რასაკვირველია, დამოკიდებულია ცხოველის ღონიშე) არის 80-დან 100 კილომეტრი.

გუნდის უფროსმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ცხოველების დატვირთვას და მათ მოვლას, რადგან უამისოდ სულ მოკლე ხანში დაპკარგავს თავის საბარგო ცხოველებს.

სამაგიეროს შოვნა ძნელია და ათასეულის უფროსი იშვიათად ანაზილებს გუნდებს შტრის ათასულის ჯორებს. ასე რომ მხოლოდ თვალყურის დევნით და კარგი მოვლით შეიძლება საბარგო ცხოველების შენარჩუნება და გუნდის უფროსი პასუხისმგებელია.

ფრიად მნიშვნელოვანია საბარგოების ჩალანდართა ნაცვლების არჩევა. ამ თანამდებობაზე დანიშნულ უნდა იქმნას ენერგიული, მასზე და ცხოველებს შეჩვეული ნაცვლები.

ათასეულის ჩალანდართა ნაცვალი კი თითქმის ბეითალიც უნდა იყოს, რათა შესძლოს ცხოველების გასინჯვა და მათი წამლობა. საჭირო წამლები მასვე აბარია ათასეულის საბეითოო ყუთში.

უმრავლესი რიცხვი ჭრილობების (დაშავებისა) გამოწვეულია საპალნის მთელი დღე მოუხდელობით. ამიტომ როდესაც კი ეს შესაძლოა, გუნდის უფროსმა უნდა მოახდევინოს საპალნები დილით, ბანაკიდან დაძრისას და ატვირთვინოს მხოლოდ სწორედ წასვლის წინ და ამ რიგად თავიდან აშოროს დატვირთული, ადგილობრივ ხანგრძლივი დგომა.

დაშავებული ცხოველების მოვლას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. შესაძლებელია საპალნით დაშავებული ცხოველი გაბმული ამუშაოთ. ამრიგად დაშავებული ადგილის მოვლაც შეიძლება და ცხოველის გამოყენებაც, და წინაუკმოდ გაბმით, დანაშავები ცხოველი ხშირად გამოსადეგია სასაპალნედ.

კარგად გაწვრთნილ ათასეულისათვის საკმარისია ერთი მეოთხე-
დი საათისა საბარეობის დასატვირთავად, ბანაკიდან დაძრის ჭინ.

მაგალითათ, თუ ათასეული უნდა დაიძრას ოთხ საათზე, ავანგა-
რდის გუნდი დატვირთავს თავის ცხოველებს 3 ს. 45 წ.; არიერგარდის
გუნდი კი 4-ზე და 10 წ.

ყველა ამ წვრილმანს თავისი მციშვნელობა აქვს და უყურადღე-
ბოდ არ უნდა იქნეს დატვებული უფროსების მიერ.

ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა გ ზ ა შ ი

მთაში ხშირია ქვის დაგორება ან კლის მოწყვეტა (ზვავი და
სხვა) და ამის გამო უბედური შემთხვევები. ამიტომ სასტიკად უნდა
აიკრძალოს ქვის დაგორება, და როდესაც ეს უნებლიერ ხდება, ვინც კი
პირველად დაინახავს, ხმამალლა უნდა გააფრთხილოს უკან მსელელები.

ხშირად დაკლაკნილი ბილიკის მაგივრად, შეიძლება მოკლედ
მოსჭრა, მაგრამ ასეთი გზის შემოკლება შეიძლება მხოლოდ დალმართ-
ში და პატარა ერთეულების (რაზმების) მიერ. ვინაიდან, როდესაც რაზ-
მი დატვირთულია და აგრეთვე დატვირთული ცხოველებისაპან შესდგე-
ბა, უმჯობესია ბილიკის ხმარება.

ყოველ შემთხვევაში რაზმმა მთლიანად ერთი და იმავე გზით უნ-
და იაროს. ხშირია აგრეთვე, რომ ბილიკი ძნელად გამოსაყენებელია
სხვადასხვა დაბრკოლების გამო და დიდ დროს მოითხოვს დატვირთუ-
ლი ცხოველების მიერ გასავლელად. ამიტომ საჭიროა ავანგარდში იმ-
ყოფებოდენ მუშები [ჯ.გ.] გზის შესაკეთებლად და სამუშაო იარაღის
სასაპალნე ცხოველები.

ავანგარდის უფროსი გააფრთხილებს გზის შესახებ ნაწილის უფ-
როსს და ვიდრე მუშები გზას შეაკეთებდენ, შეჩერდება და დაიკავებს
პოზიციებს ამ შესაკეთებელ ადგილების გავლის შემდეგ.

ძნელად გასავლელ ადგილებში ჩალანდარს არ შეუძლია 2 ჯო-
რის გატარება. ამიტომ გუნდის უფროსმა მათ რამოდენიმე კაცი უნდა
მიაშველოს. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მეღრე ჯორი უნდა აუშვან
და ის თვითონ გაჰყვება პირველს.

კ ა ვ შ ი რ ი

კავშირი განუწყვეტლივ უნდა არსებობდეს კოლონის სხვა და
სხვა ელემენტების შორის. ეს კავშირი დაკავებული უნდა იყოს უკანიდან

წინ ე. ი. ყოველ გუნდის უფროსს პირველ მწყობრთან უნდა ჰყავდეს ერთი ჯგუფი ნაცვლის უფროსობით და ამ ჯგუფის მოვალეობაა წინა გუნდთან განუწყვეტელი კავშირი დაიჭიროს. კავშირი განსაკუთრებით საჭიროა და მნიშვნელოვანი დამით სიარულისას.

ლ ა მ ი თ ს ი ა რ უ ლ ი

დამით სიარული მთაში ძალიან სახითათოა და დამლელი, მაგრამ ხშირად ტაქტიკურის მისაზრებით ან სიცხის ასაცილებლად ეს საჭირო ხდება. დიდი სიფრთხილეა აუცილებელი მეტადრე უმთვარო დამეში, რათა გზა არ შეგვეშალოს. საჭიროა გზის მაჩვენებელი (ადგილობრივი მცხოვრები) და იგი გამოცდილთა შორის უნდა იქნას არჩეული.

კოლონის სხვა და სხვა ნაწილმა, რაც შეიძლება, ერთი მეორესთან ახლო უნდა იაროს და ერთმანეთთან მუდმივი კავშირი იქონიოს.

(დასასრული პირველი ნაწილისა)

— — —

ნ ა ჭ ი ლ ი მ ე ო რ ე

მთაში საბრძოლო მოქმედებათა დამახასიათებელი მხარეები

დ ა მ ა თ ი შ ე დ ე გ ე ბ ი

ჯარის მართვა-მოხმარის კანონები მთაში და ბარად ერთნაირი არიან. მაგრამ არე-მარე [მიღამო] და ჰავა დიდ გავლენას ახდენს სამხედრო მოქმედებებზე და მათ მართვაზე.

მთის უმთავრესი დამახასიათებელი მხარენი არიან:

ა) ჰავა

ბ) ძნელი მისადგომლობა, ოლრო-ჩოლრო და გაუვალი მიღამო

გ) უგზოობა, უსურსათობა, სანოვაგისა და ხშირად წყლის მხრივ

დ) არე-მარის [სამოქმედო ასპარეზის] დაუჯრედება, დაქუცმაცება და თვითეული უჯრედის გავლენა და მნიშვნელობა მთელ ასპარეზზე.

გინაიდან თვითეულ ამ დამახასიათებელ ფაქტორთაგანს დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო მოქმედებებზე, განვიხილოთ ისინი დეტალურად.

ჰა კა . მთის ჰავას ახასიათებს სიცივე, ყინვიანი ლამე, ცივი ქარი და ამინდის ცვალებადობა.

ხშირია, რამ მშვენიერი კაშკაშა დღე საშინელ ქარიშხალად შეიცვლება. რამდენიმე წუთში, პატაწინა ნაკადულები ვეებერთელა ნიალვრებად გადაიქცევიან და სეტყვა-წვიმა ყაველივე მოძრაობას აჩერებს. ისიც ხშირია, რომ ამგვარ საშინელ ავდარს მშვენიერი მზიანი დარი მოჰყვება ხოლმე.

ზამთარი ხშირად მაისის დამლევამდე გრძელდება, ნისლი, თოვლი და ქარბუქი სხვა თვეებშიაც ხშირია.

ამგვარ ადგილებში ცხოვრების პირობები მეტისმეტად მძიმეა და რთული, რადგან საჭიროა გამუდმებული ბრძოლა ბუნების მოვლენათა წინააღმდეგ.

ყოველი ზემოხსენებულის მიუხედავად, სამხედრო მოქმედებანი შესაძლებელი არიან მთაში, ზამთარშიაც კი; აშის მგალითები სამხედრო ისტორიაში არსებობს, მაგრამ ეს სამხედრო მოქმედება მოითხოვს ზედმიწევნითი მომზადებას და განსაკუთრებულად მთას შეჩვეულ და გაწერთნილ ჯარს.

უფროსობა ღიღი სიფრთხილით უნდა მოიქცეს სიცივის დროს და თოვლში მოქმედებისას. მან მუდამ უნდა შესძლოს ჯარისთვის თავშესაფარის შორის დასასვენებლად და საბანაკოდ.

უმჯობესია მგზავრობის გადადება, ვიდრე ავდარში მოძრაობის დაწყება. მაგრამ როდესაც საჭიროება მოითხოვს მოძრაობის დაწყებას უფროსობამ უნდა მიიღოს შემდეგი სიფრთხილის ზომები: —

1. გააუმჯობესოს ჯარის საჭმელი და საგზაურიგოს ქონიანი და ჰიდროკარბონით მდიდარი სანოვაგენი: შაქტი, შოკოლადი, სარდინი, ლორი და სხვა.

2. თვითეულ მწყობრში სამი ბიძონი არაყი უნდა ებაროს ნაცვლებს. ჯარისკაცთ კი ბიძონები საესე უნდა ჰქონდეთ წყალნარევი და შაქრული ყავით.

3. დასვენება უნდა იყოს ხშირი და მოკლე. ჯარისკაჯებს თავზე და ბეჭებზე წამოხურული უნდა ჰქონდეთ კარავის ტილო.

4. დროგამოშვებით უნდა გამოიცვალონ თავში (წინ) და ქარის მხარეზე მოსიარულე ჯარისკაცები.

5. შედგენილ უნდა იქნეს სპეციალური არიერგარდი, ოფიცრის

უფროსობით; რომლის განკარგულებაშიც ინება რამოდენიმე კეზაჩინის ცხოველი დავარდნილთა და ავადმყოფთათვის.

6. არასდროს არ უნდა მოიტოვოს უკან დადლილი ჯ.-კაცები.

7. როდესაც, ქარბუქის გამო, ჯარი იძულებული ხდება გაჩერდეს, უფროსმა დიდი ყურადღებით უნდა აარჩიოს საბანაკო ადგილი. მთაფაროს ფერდობს ან ტყეს. გარდა იშვიათი შემთხვევისა, როდესაც შესაძლო იქნება ხის ტოტებით მიწის დაფარვა ან რაიმე სხვა საგების შოგნა, ჯ.-კაცებს უნდა აეკრძალოს დაწოლა, მუდამ მოძრაობაში უნდა იყვნენ და არ უნდა დაიძინოს გაყინვის შიშით.

ბ) ძ ნ ე ლ ი მისადგომლობა, ოდრობილობა და გაუგალი მიდამი მოქმედ ჯარს არა მარტო ბუნების მოვლენებთან უხდება ბრძოლა, არამედ ბუნებრივი დამრკოლებანიც წინ ეღობებიან მათ მოქმედებებს.

მთაში ცხოვრება და მომედებანი მოითხოვენ მეომართა მხრივ ფიზიკურ და მორალურ დიდ სიმტკიცეს. ოფიცირისაგან მთა მოითხოვს არა მარტო ფიზიკურ სიმტკიცეს და ენერგიას. არამედ ცოდნასა და განსაკუთრებულ თვალსაზომს არემარის სწრაფად შესათვისებლად და მიდამოს მნიშვნელოვან პუნქტების სათანადო შესაფასებლად.

სამოქმედო ასპარეზი ერთი თვალის გადავლებით უნდა იქნას ალეჭალილი ოფიცირის გრძებაში, მან სწრაფად უნდა შევძლოს მისი ნამდვილი ჩინჩხის, შემადგენელ მნიშვნელოვან ნაწილებად დაყოფა და არ დაჰკარგოს დრო წკრილმანების ძებნაში.

მთის შეჩვევა და მისი შეთვისება უცილებელი საჭიროებაა უფროსისათვის ბრძანებათა გასაცემად, სამოძრაოდ, საბანაკოდ თუ საიურიშოდ. ყოველგვარი წყობილება დამოკიდებული, მიდამოზე ე.ი. სამოქმედო ასპარეზზე.

ნათქვამია, მთა არ იღებს სუსტებსო; მართლაც სუსტი აგებულობის ადამიანი ვერ იტანს მთას. მთაში მოქმედება მას სჩაგრავს და ასწეულებს. პირიქით: ჯანსაღსა და კარგი აგებულობის აღამიანს მთა ენერგიას მატებს.

ამიტომ არის, რომ ყველა მთიან ქვეყანაში მიღებულია მთაში სამოქმედოთ სპეციალურ ჯართა არსებობა. მას შეადგენენ მთიელები და განსაკუთრებულ კარგ-აგებულობის ჯ.-კაცები, რომელთაც არავითარი ნაკლა გულას და ფალტვებას მართვა უნდა იყოს, მუდამ ფეხით უნდა იაროს და პირადი მაგალითით გამშნევის თავისი ხელქვეითინი.

უფროსობამ ყოველი ზომა უნდა მიიღოს, რათა ავდარისა და უგზობის მიუხედავად, დააკმაყოფილოს ჯარის ყოველი მოთხოვნილება: სანოვაგის, ბანაკობის და სანიტარულის მხრივ.

ამის მისაღწევად კი წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული საზიდავ საშუალებათა გაძლიერება.

(გაგრძელება იქნება)

ნ . ო თ ხ ა ძ ე

ა რ ტ ი ლ ე რ ი ა

მისი დანიშნულება და გამოჩვება

თანამედროვე ბრძოლაში

VI

საარტილერიო დაზვერვა

არტილერიის ყოველ საბრძოლო მოქმედებას წინ უსწრებს მუდამ საარტილერიო დაზვერვა, რომელსაც აწარმოებს ყოველი არტილერიის უფროსი, დაწყებული დივიზიის არტილერიის უფროსიდან, ბატარეიის უფროსამდე. ამ დაზვერვის მიზანია ყოველმხრივი მომზადება არტილერიისა ბრძოლაში შესასვლელად, დროს დაუკარგავად. ამის გამო ზვერვა იწყება უკვე მოქმედების განხრახვიდან, რომელშიაც უნდა მიიღოს მონაწილეობა არტილერიამ და სწარმოებს მოქმედების სავსებით დასრულებამდე. ამიტომაც ყოველი შეერთებული იარაღების უფროსმა თავის დროზე უნდა მისცეს დავალებანი მის ნაწილების შემადგენლობაში მყოფ არტილერიის უფროსს, და თავის ბრძანებებში, რომელიც ეხება ქვეითა ან ცხენოსან ჯარის მოქმედებისათვის გაშლას, უნდა მხედველობაში მიღებული ჰქონდეს დრო, რომელიც სჭირდება არტილერიას მოქმედების მოსამზადებლად, თუ კი სურს, რომ მიიღოს მისგან სათანადო დახმარება.

დრო. რომელიც სჭირდება არტილერიას ბრძოლაში შესასვლელი
მომზადებისათვის არ არის მუდამ ერთნაირი, და შეუძლებელია მისი
წინდაწინვე თეორიული გარკვეული გაზიომვა. ეს დრო მუდამ ცვალვება-
დია და დამოკიდებულია უმთავრესად საერთო მდგომარეობისაგან. ხში-
რად არის ძალიან მცირე, სულ რამოდენიმე წუთი, ხშირად კი გრძელ-
დება რამტდენიმე საათიც.

არტილერიის ნაჩეარევ, მოუმზადებლად შესვლას ბრძოლაში ჯრ
შეუძლია მოიტანოს სათანადო ნაყოფი და ხშირად შესაძლებელია კი შე-
იქმნას დამღვანელი, ვინაიდან არტილერიას თავის დალაგებაში აკლია
მუდამ დრევადობა, და პოზიციების ყოველი გამოცვლა არის ძნელი და
იწვევს ცეცხლის წარმოების შეწყვეტას, რაც, რასაკვირვეელია, მუდამ
იქნიებს გავლენას მდგომარეობაზე და გამოიწვევს არა სასურველ შე-
დეგს საერთო მოქმედებაში.

არტილერია ამიტომ უნდა სცდილობდეს თავის მხრივ, რაც შე
იძლება შეამციროს ეს დრო, რათა გამოყენებულ იქნას ის ხელნაყრელი
პირობანი, რომელიც მუდამ ბრძოლის დასაწყისში არსებობენ.

არტილერიის დაზვერვის მოვალეობა არის:

- გზების დაზვერვა,
- სათვალყურო პუნქტების გამონახვა,
- მიზნების გამორკვევა,
- ბატარეიებისათვის პოზიციებისა და სავაზნე სეტებისათვის
ადგილების გამოძებნა,
- უფროსებისათვის ადგილების დაზვერვა,
- კავშირის მოწყობის გათვალისწინება და
- სროლის დასაწყობად საჭირო მასალების მომზადება.

საარტილერიო დაზვერვა თავის თანდათანობის მიხედვით შეგ-
ვიძლია გავყოთ ორ ფაზად:

1) საერთო დაზვერვა და 2) უფროსების დაზვერვა.

საერთო დაზვერვა უმზადებს საჭირო მასალას არტილერიის
მთავარ უფროსს გადაწყვეტილების გასაღებად, რითაც აჩეარებს არტი-
ლერიის ბრძოლაში შესვლას. უფროსების დაზვერვა კი არის გადაწყვე-
ტილების გაღება მიდამოზე იმ ცნობათა მიხედვით, რომელიც უკვე მო-
მზადებულია საერთო დაზვერვის მიერ.

დაზვერვის შესახებ ინგლისელების წესდება ამბობს: —“ყოველი
უფროსი მოვალეა, თუ კი დრო და სივრცე ნებას იძლევა, დიდი ერთე-
ულების მოქმედების გამონაკლისით, პირადათ დაზვეროს მიდამო, რო-

მელზედაც მოსალოდნელია მისი ნაწილების მოქმედება. და შეპკრიფიტ
ყოველი ცნობები მიდამოს იმ სიძნელეების შესახებ, რომელიც წინ გა-
დაელობება მის ნაწილებს“.

ამიტომ რამდენადაც უფრო მცირეა ნაწილი, მით დაზვერა წარ-
მოებული უნდა იყოს მეტის დაწვრილებით.

ჯგუფის ან უფრო დიდ ნაწილების უფროსებს, დროის სიმცირის
გამო, შეუძლიათ გამოარკვიონ დივიზიონის პოზიციების უბნები რუქაზე,
მაგრამ დაზვერვა დივიზიონის და ბატარეიების უფროსების მიერ აუცი-
ლებლად წარმოებული უნდა იყოს მიდამოზე.

საარტილერიო დაზვერვის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ
დღისით და ისიც, როდესაც ამინდი კარგი მსედველობის საშვალებას
იძლევა.

გადავიდეთ ეხლა თვითეულ ამ ხსენებულ დაზვერვათა მოქმედე-
ბების აღწერაზე.

საერთო დაზვერვას აწარმოებენ საერთო დაზვერვის მზე ერავები,
რომლებიც უკვე წინდაწინვე გამზადებული უნდა იყვენ არტილერიის
უფროსის მიერ ყოველი მოქმედების მოლოდინში.

სრული მოქმედება დაზვერვისა სწარმოებს საუკეთესოდ საბრძო-
ლო ლაშქრობისას და მოპირდაპირესთან დაახლოვების სვლისას. იერი-
შის დროს საერთო დაზვერვის მოქმედება იქნება ფრიად შემცირებული.
მოგერიებისას კი გამოყენებული იქნება ძალიან იშვიათად.

საერთო დაზვერვის შემადგენლობაში შედის თითქმის ერთი მე-
სამედი ნაწილი მზვერავთა შემადგენლობისა და ამის გამო ეს დაზვერვა
უნდა წარმოებული იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეგებისობა მოპირ-
დაპირესთან შეხვედრისა არის ფრიად დიდი საერთო ცნობების მიხედ-
ვით, იგზავნება კი ზვერვას მოსახლენად მაშინ, როდესაც უფროსი სცნობს,
რომ ეს შეხვედრა მოსალოდნელია პატარა ხანში.

საერთოდ მიღებული დაახლოვებითი შემადგენლობა საერთო
დაზვერვისა არის შემდეგი:

3 ოფიცერი, 4 ნაცვალი და 12 მზვერავი ჯარისკაცი.

ეს მზვერავები იყოფიან სამ ნაწილად, სამ პატროლად — მთავარ
და გვერდის პატროლებად. მთავარი პატროლი მიემართება სვლის დე-
რბით, გვერდის პატროლები კი მის მარჯვნივ და მარცხნივ 1-2 კილო-
მეტრის მანძილზე. დაახლოვებითი შემადგენლობა, ამ პატროლებისა არის:
მთავარი პატროლი — 1 ოფიცერი, 2 ნაცვალი, 6 მზვერავი ჯ — კაცი,

გვერდის პატროლი — 1 ოფიცერი, 1 ნაცვალი, 3 მზვერავი ჯ — გაც.

მთავარ დაზვერვის უფროსი არის ერთდაიმავე დროს მთავარ პატროლის უფროსად. დავალებებს დებულობს არტილერიის უფროსისაგან ნ და მოქმედობს სკეტის მთელი არტილერიის სასარგებლოდ. სამთავე პატროლი ამ დაზვერვისა აწარმოებენ ერთნაირ დაზვერვას, მთავარი დაზვერვის უფროსი კი ჰკრებს ყოველ მოპოებულ ცნობებს და აწვდის არტილერიის უფროსს. მთელ საერთო დაზვერვას აქვს საშვალება მოახდინოს დაზვერვა მიდამოსი 3-5 კილომეტრის სიგანეზე, თვითეულ პატროლს კი I-1 ნახევარ კლმ..

მთავარ დაზვერვის მოვალეობას შეადგენს:

1] გზების დაზვერვა, 2] მუდმივი ძებნა მიწნებისა თვალდევნით, 3] ცნობების შეკრება მოპირდაპირის შესახებ (ქვეითა ჯარის საშვალებით), 4] მიდამოს კვლევა საპრტილერიო პოზიციების თვალაზრისით, სათვალყურო პუნქტებისა და ფარულ მისასვლელებისა.

დავალებანი საერთო დაზვერვის, მდგომარეობის მიხედვით ან კადევ იმ ცნობების რაოდენობისაგან, რომელიც სურს მიიღოს უფროსმა, შეიძლება იქნას შემပირებული ან გადიდებული.

არტილერიის უფროსმა დაზვერვის დავალებით ალჭურვის დროს აგრეთვე უნდა აცნობოს მას, რა ადგილებიდან, ან რაოდენი ზანის მანძილზე სურს მიიღოს მოხსენებები მზვერავებისაგან. ეს მოხსენება უნდა შეიცავდეს მარტივ პასუხს უფროსის ყოველ დავალებაზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს ან რუქას ან დართულ გეგმას. ამრიგად არტილერიის უფროსს მუდამ ხელთ ექნება მიდამოს დასასიათება არტილერიის თვალთაზრისით და ამით საჭიროებისას მუდამ გაუადვილდება გადაწყვეტილების მიღება.

ვინაიდან მთავარ დაზვერვის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ერთი მეოთხედი მთელი არტილერიის მზვერავთა, სკლის მამართულების უეცრად შეცვლისას შესაძლებელი ჩდება ახალ მიმართულებით დაუყონებლივ მთავარ დაზვერვის გაგზავნა ახალი შემადგენლობით.

მოლაშქრე სკეტის მთელი არტილერიის ან მისი ნაშილის პრძოლაში შესვლისას, უკვე ამ წინასწარ მთავარ დაზვერვის ცნობებზე დამყარებით არტილერიის უფროსს საშვალება ეძლევა ბრძანების გაცემისა უფროსების დაზვერვის დასაწყებად და მათი მიმართვა სათანადო მიმართულებით მიდამოხე. ამ რიგად, როგორც ვხედავთ ეს ფრიად აჩქარებს არტილერიის შესვლას ბრძოლაში სამოქმედოთ.

გადავიდეთ ეხლა ყოველგვარი დაზერვის მოქმედების დაწერა
ლებითი განხილვაზე: —

I. გზების დაზერვას აწარმოებს შთავარ დაზერვის მთავარი
პატროლი უშუალო დაზერვის წარმოებისას, ან კიდევ განსაკუთრებით
ამ მიზნისთვის დანიშნული პატროლი წინდაწინ გზათა დაზერვის წარ-
მოებისას.

გზების დაზერვა იშევება სეეტის სალაშქროდ დაძირისას უშუა-
ლო ზევრვის წარმოებისას და გრძელდება არტილერიის ბრძოლაში შე-
შესვლაზე. წინდაწინ გზების დაზერვა წარმოებულია ჯერ პიდევ სვე-
ტის ამორჩავებამდე და აქვს მას გავლენა გზის ამორჩევაზე.

გზის დაზერვის მიზანი არის სვლის აჩქარება და თავიდან აცი-
ლება დაბნევისა მეტადრე დამით. ამის გამო მზერავნი არკვევენ გზების
მდგომარეობას, მის ვარგისობას არტილერიისათვის სამოძრაოდ, ფარუ-
ლობას და უთითებენ მიმართულებას ყოველ ძნელად გასაგნობ აღილე-
ბნე, როგორც ტყეუში, გზების ხლართებზე და სხ. მათ მოვალეობას შეა-
დგენს ყოველ დაბრკოლებათა ალაგმგა გზებიდან თუ კი ეს მათ შეეძლე-
ბათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამაზე დროზე შეტყობინება ს. თანადო
უფროსისათვის ზომების მისაღებად.

გზის დაზერვა უნდა წარმოებულ იქმნას მუდამ, მიუკეთავად
იმისა, არტილერია მოძრაობს დამოუკიდებლად, თუ სხვა ჯართა სვე-
ტის შემადგენლობაში.

II. მიზნების ქებნა იშევება მოწინავე ნაწილების მოპირდაპირეს-
თან შეხლისას. ამას ვალშევთ ამ მოწინავე ნაწილების თვალდევნითა
და მათგან ცნობების შეკრებით. ეს წარმოებული უნდა იქნას არტილე-
რიის ბრძოლაში შესვლამდე, ამის შემდეგ კი, როდესაც გადაეცემა არ-
ტილერიას ყველა შეკრებილი ცნობა, იშევება უკვე ნორმალური თვალ-
დევნა. რომ ეს დავალება სათანადოთ იქნეს წარმოებული, მთავარ დაზე-
რვის მოვალეობა განუშევეტელი ქებნა სათვალყურო პუნქტების მის
მოძრაობის სივრცეში, და კავშირის დაჭერა უახლოეს ქვეითი ან ცხე-
ნისან ერთეულების ნაწილებთან. მოპირდაპირესთან შეხვედრისას მზვე-
რავთ პატროლების უფროსები დაუყონებლივ იკავებენ სათვალყურო
პუნქტებს და იშევებენ მიზნების ზევრვას; იჭერენ კავშირს ქვეითი ჯარ-
თან ცხენისანი შივრიკების საშუალებით, მათგან ცნობების მისაღებად.

III. სათვალყურო პუნქტების ქებნა-არჩევა წარმოადგენს უფ-
როსების დაზერვის მოქმედების ნაწილს და მიზნად აქვს სათვალყურო
პუნქტების გამოყენება ბრძოლაში შემაფლ არტილერიისთვის. ეს პუნ-

ტები უნდა იყოს არჩეული მიდამოს სიგანეზე და სიღრმეზე მოპირდაპირების რის სრული და განუწყვეტელი თვალდევნისათვის, მეტადრე საბრძოლო ხაზის ცვალებადობისას. როგორც უკვე ზემოდ მოვიხენიეთ, ამ საკითხის მთავარი საქმე წარმოებულია საერთო დაზვერვის მიერ. მათ მიერ გამოიქმნალი სათვალყურო პუნქტები გახდება დივიზიონის უფროსების პუნქტებად და მათ მასლობლად კი დივიზიონის მზერავთა მიერ იქნება გამოძებნილი ბატარეის უფროსებისათვის.

გარდა სათვალყურო პუნქტებისა, ყოველი არტილერიის უფროსისათვის საჭიროა აგრეთვე სამყოფი ადგილი და ეს დივიზიონის უფროსიდან ზემოდ. ეს არის ადგილი, სადაც ყოველი მხრიდან იკრიფება ცნობები, გადის ბრძანებები.

უფროსების სამყოფ ადგილების და სამყოფ პუნქტების გამოძებნა დამოკიდებულია საერთო მდგომარეობისაგან და კავშირის საშვალებათა კარგად წარმოებისაგან. უფროსის სამყოფ ადგილს ეძებს დივიზიონის აღიუტანტი და სამყოფ პუნქტს კი დივიზიონის მზერავი ოფიცერი — უმაღლეს უფროსის მიერ მიწესებულ სივრცეზ.

ეს ადგილები უნდა საშვალებას იძლეოთ ადვილ და დაუბრკოლებელ გამგებლობას ხელქვეით მყოფ არტილერიის ნაწილებისა და კავშირის დაჭერისა ამ ნაწილებთან და ქვეით ან ცხენოსან ჯარის იმ ნაწილებთან, რომელთა დამხმარეთ არის მინიჭებული ეს არტილერია.

IV. ბატარეიების პოზიციების გამოძებნა წარმოებულია აგრეთვე, როგორც სათვალყურო პუნქტებისა. საერთო დაზვერვა დაედებს ყველ შესაძლებელ პოზიციებს სკლის ლერძის მიმართულებით და მისი მომედება სრულდება მხოლოდ იმის შემოწმებით, რომ ამა და ამ მიდამოს უბანზე არის შესაფერისი პოზიციები ბატარეიებისათვის. ესაა საერთო მომზადება უფროსების დაზვერვისა, რომელიც ამ ცნობების მიერდვით აწარმოებენ უფრო დაწვრილებითი დაზვერვას.

საარტილერიო პოზიციების გამოძებნაში აშკარად გამოსხანს უფროსაპის-თანდათანობითი მოქმედება. დივიზიონის უფროსი დივიზიონის არტილერიის რჩევეს მიხედვით ირჩევს რუქაზე და ძალიან იშვიათად მაღამოზე არტილერიის პოზიციების დაახლოვებითი სივრცეს. ჯგუფების უფროსები განსაზღვრავენ პოზიციების უბნებს დივიზიონებისათვის მიდამოზე და თუ კი დრო საშვალებას არ იძლევა, — რუქაზე.

დივიზიონების უფროსები ნიშნავენ მიდამოზე ბატარეიების პოზიციებს, ბატარეიების უფროსები კი ასრულებენ ამას უფრო დაწვრილებით და ირჩევენ ყოველი ქვემების ადგილს.

საზოგადოთ, ბატარეიის სასროლი პოზიცია უნდა აკმაყოფილები ბეჭედის შემდეგ პირობებს:

-- უმთავრესად თავის დავალების შესრულების შეძლებას და ამის გამო — სროლის სივრცე უნდა ჰქონავდეს ბატარეიისათვის მინიჭებულ ძირითად მოქმედების სივრცეს და აგრეთვე ეგებისსაც; უზიანო სივრცე არ უნდა აღემატებოდეს იმ საზღვარს, რომელსაც მოითხოვს დავალება; უნდა იყოს ფარული მოპირდაპირის თვალდევნისაგან, როგორც მიდამოდან აგრეთვე პატიოდანაც; უნდა ჰქონდეს საშვალება ადვილ კავშირისა სათვალყურო პუნქტთან; და უნდა იყოს დაფარული ყოველი მოძრაობა პოზიციისაკენ და წინაუკმოდ.

საარტილერიო პოზიციები საერთოდ შესაძლებელია იყოს ორგვარი: — ლია და ფარული. ლია პოზიციას არტილერია იქვერს ძალიან იშვიათად უეცარ საჭიროებისას. როდესაც უკვე არ მოგვეპოვება ფარულ პოზიციის დაკავებისათვის და ცეცხლის წარმოება კი დაუყონებლივ აუცილებელი ხდება, მიუხედავათ იმ ზიანისა, რომელიც შესაძლებელია მოგვაყენოს აქ მოპირდაპირებ თავის ცეცხლით. ამიტომ ძოქმედება ამგვარ პოზიციაზე უნდა იყოს ძალიან სწრაფი და უნდა ვსულილობდეთ, რაც შეიძლება ჩქარა, გარემოების მიხედვით შეცვლილ იქმნას ფარულ პოზიციაზე, ზიანის შესამცირებლად კი ქვემეხები უნდა მოთავსებულ იქნას, რაც შეიძლება დაშორებით ერთი მეორესაგან.

ფარული პოზიცია უზრუნველყოფს ბატარეიას მოპირდაპირის თვალდევნისაგან და ამით შეძლების-და-სვარად მის ცეცხლისგანაც, რის გამოც უფრო ნაყოფიერი ხდება ცეცხლის წარმოება დამშვიდებით და უზიანოდ. როგორც ლია აგრეთვე ფარული პოზიციები შეძლებისდაგვარად უნდა ნილაბმოსხმული იყვეს პატიოდან თვალდევნისაგან.

როგორც ხელსაყრელი არტილერიის პოზიციისათვის შეიძლება ჩაითვალის ტყის ნაპირები, ტყის მინდვრები, სოფლები და სხვა დასახლებული ადგილები, აგრეთვე უნახები და ბალები, მაგრამ ეს ჩაძოთვლილი ადგილები უნდა იყოს სათანადოდ მოზრდილი, თორემ მოპირდაპირესათვის, თუ კი ის ამას შეამჩნევს, წარმოადგენს ძალიან ადვილ მიზანს და შესძლებს ჩვენი არტილერიის დაზიანებას.

პოზიციები გზების გასწრივ არის ფრიად ხელსაყრელი, მეტადრე მძიმე არტილერიისათვის, ვინაიდან ყოველი მოძრაობა ასეთ პოზიციებისაკენ არ ამჩნევს კვალს, მაგრამ ეს გზები უნდა ფარული იქნას მოპირდაპირის მხედველობისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილ მიზანს წარმოადგენს. პოზიციები შემოიან და ჭაობიან ადგილების მახლობლად

არის ფრიად ხელსაყრელი, ვინაიდან მისროლა მოპირდაპირისთვის ასეთ ადგილზე არის გაძნელებული და არტილერიის მსახურნი კი სათანადოთ უზრუნველყოფილი არიან ყუმბარების ნამტვრევების ზიანისაგან. ასეთ ადგილებზე სროლის დროს აგრეთვე ნაკლები მტვერი დგება და ეს უძნელებს მოპირდაპირების ჩვენი პოზიციების მიგნებას.

კლდე-ქვიან მიდამოებში ყუმბარების მოქმედება გაორკეცებულია ქვების ნამტვრევებით და ამიტომ უნდა ვერიდებოდეთ ასეთ ადგილებზე პოზიციების არჩევას, აუცილებლობის დროს კი უნდა ეზრუნავდეთ იმაზე, რომ არჩეული პოზიცია იყოს რაც შეიძლება ფარული და დაცული.

გარდა ცეცხლის საწარმოებელ პოზიციებისა, არტილერიისათვის საჭიროა აგრეთვე ხანდახან წინასწარი დასაცდელი პოზიციები და ადგილები წინალებისათვის და სამუნიციო სვეტისათვის.

წინასწარი დასაცდელი პოზიცია ისეთი ადგილია, სადაც არტილერია, თუ კი ეს საჭირო ხდება, ჩერდება სასროლ პოზიციების დაჭრამდე. ეს ადგილები უნდა იმყოფებოდენ ახლო მომავალ სასროლ პოზიციებისა და უნდა იყოს: — ფარული მოპირდაპირის თვალხედვისაგან ყოველმხრივად, უზრუნველყოფილი მის ცეცხლისაგან, უნდა იძლეოდეს სასროლ პოზიციაზე ადვილად, სწრაფად და ფარულად მისვლის საშვალებას და უნდა იყოს დაშორებული ისეთ პუნქტებისაგან; რომლის გარკვევა გააღვილებულია მოპირდაპირისათვის.

წინალების ადგილებიც, როგორც ყოველი სხვა უნდა იყოს ფარული და უზიანო, არ უნდა იყოს იმდენად ახლო ბატარეიისთან, რომ მოექცეს ერთდაიმავე ცეცხლის სივრცეში, გარდა ამისა, უნდა ააღვილებდეს კავშირს ბატარეიისთან.

სავაზნე სვეტების ადგილი საზოგადოთ დაშორებული არის ორი — ოთხი კილომეტრით სასროლ პოზიციებისაგან და ამ ადგილების არჩევა დამკიდებულია აგრეთვე ვაზნების მომარაგებითი პუნქტების მოთავსებისაგან მიდამოზე.

V. კავშირის მოწყობის გათვალისწინების მიზნად არის ელს მენის ხაზის ხელსაყრელ მიმართულების გამონახვა უმაღლეს უფროსის კავშირის ბრძანების ფარგლებში, და მოთავსება ცენტრალებისა და ოპტიკურ კავშირის საშვალებებისა. ესაა უმთავრესად მოვალეობა კავშირის ოფიცირების ყოველ ნაწილისა.

VI. სროლის დასაწყიობად საჭირო მასალების მომზადება — შედის უფროსების დაზვერვის მოქმედებათა ფარგლებში და უნდა მოხდენილ იქნას ჯერ კიდევ ბატარეიების მიერ სასროლ პოზიციების დაჭერამდე. ეს გამოიხატება ქვემეცხვისათვის საჭირო მიმართულების მიცემისათვის და სროლის საწარმოებლად აუცილებელ ეფექტურების დამზადება—გამოანგარიშებაში, აგრეთვე თუ კი ღრო და მომზადება წინასწარ ამის საშვალებას იძლევა ტოპოგრაფიულ მზადების წარმოებაში, რაც შეადგენს დივიზიონის მზვერავ აფიცირის მოვალეობას.

განვიჩილეთ რა მოქმედება მზვერავთა და მათი დავალებების შესრულება, შევეხოთ ეხლა მოკლედ, რათა სათანადო წარმოდგენა გვქონდეს, უფროსების დაზვერვის აპარატის შემადგენლობას.

დივიზიონის უფროსის დაზვერვა შესდგება: — მზვერავ აფიცირისაგან, კავშირის აფიცირისაგან, ელსმენის ცხენოსან და ქვეითი პატროლებისაგან, თითო შიკრიკისაგან ყოველ ბატარეიისა და სავაჭნე სვეტისა, მებუკესაგან და დივიზიონის შიკრიკისაგან.

ამას გარდა, დივიზიონის უფროსს შეძლება აქვს საჭიროებისამებრ მინიჭება ქვეით ან ცხენოსან ჯარებთან საკავშირო პატროლებისა.

ბატარეიების უფროსების დაზვერვა შესდგება: — მზვერავ ნაცვალის და მზვერავ ჯ. კაცებისაგან, შებმულობის ნაცვალისაგან, სროლის ნაცვალისაგან, კავშირის ნაცვალისაგან, ცხენოსან და ქვეითი საელსმენო პატროლებისაგან, მებუკესა და შიკრიკისაგან.

აქ არ ვეხებით ამ ხსენებულ დაზვერვათა მოქმედებასა და მუშაობის წესს, ვინაიდან ეს შედის უკვე წესდების ფარგლებში, ეხლა განვსაზღვრავთ მხოლოდ მათ ადგილებს ხალაშერო სვეტში.

არსებითად, საარტილერიო დაზვერვა, მის დავალებათა მიხედვით, უნდა იმყოფებოდეს სვეტის თავში, წინასპასთან გაცილებით წინ თვით არტილერიისა, რომ მის მოსვლამდე უკვე დასრულებული. იყოს ზვერვის ყოველი მოქმედება. მაგრამ რადგანაც მზვერავთა მთელი შემადგენლობა, როგორც მთელი მთლიანისა, ფრიად დიდია, რაც დაახლოვებით აღწევს შემდეგ რიცხვამდე: — 7 ოფიცერი, 165 ჯ. კაცი, 106 ცტენი, 13 ორთვალა და 5 ოთხვალა ურემი. ასეთი დიდი გროვის მოთავსება სალაშერო სვეტის თავში ფრიად დააბრკოლებდა სვეტის საერთო მოქმედებას და ამის გამო ეს დანაშილებული ხდება სვეტის წინასპის ნაწილებში ისე, რომ ამ დაზვერვის ყოველ შემადგენელ ნაწილმა შეასრულოს თავისი დავალება. ყველაზე ხელსაყრელ წესად ამიტომ

შეიძლება შემდეგი: — საერთო დაზვერვა წინასპის წინა ნაწილის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მთავარ ნაწილის სათავეში დივიზიონის უფროსის დაზვერვა, წინასპის მთავარ ნაწილის ბოლოში ბატარეების უფროსების დაზვერვა და დივიზიონის საკავშირო ნაწილები. სვეტის მთავარი ძალების ორტილერიის შემადგენლობის დაზვერვა იმყოფება ასეთი თანამდებობით განაწილებული სვეტის მთავარი ძალის თავიდან დაწყებული.

ლ. მ.

ჩართული შევარდენი პარიზში

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც პარიზში ქართული ტანთ-ვარჯიშობის საზოგადოება «შევარდენი» ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა.

სრული ერთი წელიწადი არსებობს ქართული «შევარდენი» პარიზში და ეს მცირე ხანი საკმარისი იყო «შევარდენი»-ს ფრთხების გაშორისათვის.

ვინ არ იცის «შევარდენი»-ს დიდი იდეები, მისი მოვალეობანი.

«შევარდენი»-მა უნდა აღზარდოს სამშობლოსათვის ღირსეული შვილები. მან უნდა განავითაროს ახალგაზიდობაში ვაჟაპური გამჩედაობა, სიმჩნე და ტანის სივანემრთელე. ჩაუნერგოს ქალსა და ვაჟს დისციპლინა და მოვალეობა.

ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული!

ეს დიადი იდეები ჰქონდა მიზნად ჩეხების პატარა ერს, ოოდესაც ამ 70 წლის წინად 『შევარდენი』 წარმოშვა. — ჩეხების პატარა ქვეყანა დამონებული ავსტრიის იმპერიაში, მთელი ეროვნული ძალონით შეუდგა «შევარდენულ» ორგანიზაციების წარმოშობას.

ჩეხეთის 『შევარდენი』-ს ისტორია ეს ეროვნული ბრძოლის ისტორია არის პატარა ჩეხეთისა დიდ ავსტრიის იმპერიასთან. ჩეხებმა შეკემნეს «შევარდენი», რომ ამით გადაერჩინათ ერი გადავვარებისაგან,

ალედგინათ დაკარგული თავისუფლება, ენა, ჩნე და ჩვეულება. სამოცი
წლის განმავლობაში «შევარდენი» ზრდიდა ჩეხების ერს და მისი დიდი
იდეები მსოფლიოს ეფინებოდა. არც ერთი კულტურული ქვეყანა არ
დარჩენილა ისე, რომ «შევარდენ»-ს იქ თავისი მძლავრი ფრთხები არ გაე-
შალა. დღეს ყოველი საზელმწიფო ისე აქცევს ყურადღებას ერის ფიზი-
კურ აღზრდას-სპორტს, როგორც სწავლა-განათლებისა და მეცნიერების
საკითხებს.

ჩვენში, ჯერ კიდევ ძველ საქართველოში, სპორტს დიდი აღგი-
ლი ეკავა. უკანასკნელ ეპოქამდე მოსული ქართული თამაშობა—შეჯიბ-
რებანი/როგორც მაგალითად: — მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ცურაო-
ბა, ჭიდაობა, ბურთაობა, ნაღირობა, ჯირითობა, მეთოფობა, მეჯინიბო-
ბა, მუშაითობა (საბელზე თამაში), ტან-ფეხის გაშეობა, მინდორობა, და
სხვა, — აშვარად ამტკიცებენ, რომ ქართველი ერი სპორტის მოყვარუ-
ლი იყო. სრულიად გასაგები და ბუნებრივია: — ოდესაც საქართველოს
თავისუფლება აღსდგა, ქართულმა „შევარდენმა“-ც თავისუფლად გაინ-
ვარდა. სულ 3 წლის განმავლობაში მთელ საქართველოს მოეფინა „შე-
ვარდენი“-ს ორგანიზაციები. არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი თუ პა-
ტარა დაბა, საღაც ტანთვარჯიშობის საზოგადოება არ შექმნილიყო. სა-
ქართველოს ყოველ კუთხეში გაისმოდა შევარდნული სალაში:

„გუშაგობ ერს? — მარად!“

საუბედუროდ ხანმოკლე იყო ქართული „შევარდენი“-ს აღმაფრე-
ნა. რუსეთის იმპერიის მეორე ბატონობამ მოჰკლა თავისუფლად მონა-
ვარდე ქართული „შევარდენი“. მოსპო ისე, როგორც სხვა ყველა ერო-
ვნული დაწესებულებანი.

დღეს აქ, უცხოეთში მრავალი ქართველი ახალგაზრდა გადმოი-
ხვეწა. ემიგრანტული ცხოვრების მძიმე პირობებმა, და შინაურმა პო-
ლიტიკურმა უთანხმოებამ ახალგაზრდობა დაქსაქსა. არავინ ზრუნვეს მათ
სულიერ და ფიზიკურ აღზრდა-გაჯანსაღებაზე. არ არსებობს არც ერთი
დაწესებულება, საღაც ყოველ ქართველ ახალგაზრდას შეეძლოს მისვლა,
რომ წუთიერად დაივიწყოს პოლიტიკური რწმენის სხვადასხვაობა, ემი-
გრანტული ცხოვრების მძიმე უღელი, სული და სხეული დაასვენოს და
ქართული სიტყვა გაიგონოს.

დღეს ასეთი დაწესებულება ჩვენ გვაქვს.

ქართველმა ახალგაზრდობამ თვით იზრუნა თავის თავზე. მან
შექმნა თავისი ოჯახი. ეს არის ქართული ტანთვარჯიშობის საზოგადო-
ება «შევარდენი».

სწორედ ერთი შელიშადია, რაც პარიზის ქართული «შევარდენი» ოფიციალურად არსებობს. ჩვენ ვიცით მისი ნაყოფი. ამ მოკლე ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ემიგრანტული ორგანიზაცია და სხვა ვინამე მას არ დახმარებია, მან შესძლო არსებობა. მან შესძლო თავის გარშემო შემოკრიბა მოწილი ნაწილი ქართველ ახალგაზრდათა. დღეს მის მოვარჯიშეთა რიცხვი სამოც ქალსა და ვაჟს აღწევს.

მას აქვს მუდმივი ბინა და სისტემატიური ვარჯიშობანი. მაგრამ «შევარდენი»-ს ფრთხები ჯერ კიდევ სუსტია, ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია.

მას უნდა ნივთიერი დახმარება!

«შევარდენი»-ის გარშემო უნდა შემოკრბეს ეველა ახალგაზრდა.

ქართველი, ყოველი ქართველი მას უნდა დაეხმაროს.

ამ ეროვნული საქმით ქართული ემიგრაცია უნდა დაინტერესდეს, დახმარება უნდა გაუწიოს მას.

ხოლო ქართველი ახალგაზრდობა, ქალი თუ ვაჟი, «შევარდენი»-ს ფრთხების ქვეშ უნდა დაირაზმოს, რომ გაამაგროს მისი ფრთხები და ფოლადათ აქციოს თვისი სული, გული და კუნთები.

გ. ნ.

მ ი მ ა რ თ ვ ა ს ს ა რ თ ვ ა ლ მ ი მ ა დ რ ე ბ ი ს ა დ მ ა დ ი ს 0

როდესაც იუნგერთა კავშირმა გადასწყვიტა «მხედარი»-ს გამოცემა, იმთავითვე გათვალისწინებული გვქონდა, რომ იგი შეიქნებოდა მთელი ქართველი მხედრების ორგანო. «მხედარში»-აც მოთავსდა სათანადო წერილი და ისედაც გადადგმულ იქნა ნაბიჯები ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ეს არ მოხდა. აქ არ ვეძებთ დამნაშავეთ. იქნებ რაიმე ბრალი ჩვენც გვედებოდეს. მხოლოდ გვსურს კიდევ ერთხელ მივმართოთ ჩვენს მხედრობას, უფროსთ და უმცროსთ, რომ დავანებოთ თავი პასივობას, დავსთმოთ პირადი გრძნობები და ვეცადოთ, შეძლებისამებრ გაგსწიოთ მუშაობა იმ დიდი მიზნისათვის, რომელიც უნდა ასულდგმულებდეს ყოველ კეთილშობილ ქართველს – საქართველოს სუვერენობის აღდგენისათვის.

უეჭველია, ჩვენით არც დაიწყება და არც დაგვირგვინდება ეს
განთავისუფლება, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ამ დიდ საქმეში ჩვენც
გვექნება სულ პატარა როლი მაინც. და ამ როლის სისრულეში მოვა-
ნა შეუძლებელი იქნება იმ დაქსაქსულობის გამო, რაიც სუფევს ჩვენს
მხედრულ შრეებში.

თუ გავითვალისწინებთ იმ გართულებულ პოლიტიკურ (შიგნით
და გარეთ) და ეკონომიკურ მდგრადიობას, რომელიც თანდათან ვითარ-
დება ბოლმეჯიკურ სახელმწიფოში, უნდა ვითიქროთ, რომ არც ისე
შორსაა ძალმომრეობის რეალიზაციის დაცემის ხანა.

და ისმება კითხვა: — რამდენად მომზადებული ვართ ჩვენ, მხე-
დრები, ამ მომენტისათვის. ისმება კითხვა: — გვაქვს თუ არა ჩვენ უფ-
ლება ველოდოთ ამას გულზე ხელდაგრეფილი და გვევალება თუ არა
ჩვენი ერის წინაშე მის საკეთილდღეო მუშაობაში ჩვენც გვედოს წილი?

ქართველ მხედრობას ყოველთვის პირნათლად შეუსრულებია
თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და ნუ თუ დეს ემიგრანტობა,
ცხოვრების სიდუხეშირე იქნება მიზეზი ამ მოვალეობის შეუსრულებლო-
ბისა? ძნელი წარმოსადგენია! მხედრები ყოველთვის გამონახავენ საერ-
თო ენას საერთო მუშაობის საჭარმოებლად! ძნელი წარმოსადგენია,
რომ პირად გრძნობებმა დასძლიოს მოვალეობის გრძნობა და აღიტომ
საეჭვო არ არის ქართველი მხედრების შეთანხმებული მუშაობა.

დავსძლიოთ ხელის შემთხველი პირობები — ჩვენი მიზანი უნდა
გვაძლევდეს საამისო სულგრძელობას. ვითანა მშრომლოთ.

შევუცადოთ მთელი ჩვენი მხედრობის ამუშავებას: — შეიძლება
დასაშეისი არც ისე ადვილი იყოს, მაგრამ უნდა იქნეს დაწყებული. „მხე-
დარი“-ს საშუალებით ვცდილობთ ქართულად სამხედრო მასალის, ცნო-
ბების მხედრებისადმი მიწოდებას. გვინდა «მხედარ»-მა მიიღოს ნამდვი-
ლი მხედრული, სერიოზული უურნალის ხასიათი. ამისთვის კი საჭიროა
ყველამ მიიღოს მონაწილეობა, არც ერთი მხედარი არ უნდა დარჩეს განზე.

ქართველო მხედრებო! «მხედარი» მოგაწოდებთ მუშაობისათვის.
თუნდ დღეს მცირედი, მაინც დიდ-მნიშვნელოვანი იქნება მომავლისა-
თ ის ეს მუშაობა.

დავგმოთ ჩვენი რიგების გამთიშავი გრძნობები, შევგავშირდეთ
და ამით დავამტკიცებთ, რომ არც ისე ძნელი ყოფილა ნამდვილ პატრი-
ოტ ქართველებისათვის სამშობლოს იდეით შეთანხმება და მისთვის
ამუშავება.

მტრებს ნუ გავახარებთ ჩვენი დაქსაქსულობით და უილაჯობით.

«მხედარი»-ს რედაქცია

«მხედარი»-ს რედაქტორი მიმართავს ქართველ მხედრებს: დამოუკიდებელი საქართველოს ომების ისტორიის დასამუშავებლად გადმოაგზავნონ მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების ცნობები და სქემები. ამ გზით შეგროვილი მასალები დამუშავდება სამხედრო პირთაგან შემდგარი კომისიის მიერ. ა'ვე უნდა აღნიშნოთ, რომ დიდ ომში მონაწილე ყველა ერს აქვს შესწავლილი და დასამუშავებული ამ ომში თავისი მონაწილეობა (მაგ.: უკრაინელები, სომები და სხ.). აქამდე ამ მხრივ ჩვენ არაფერი გავვიყეობია. საჭირო კი არის გავაცნოთ ევროპის სახელმწიფოებს (მოგავშირენი), და თვით ჩვენი ისტორიისთვისაც, თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღო პატარა საქართველომ დიდ ომში.

ყოველი ქართველი მხედარის მიერ მოწოდებული სულ მცირედი ცნობა ამ მონაწილეობის შესახებ დიდ მნიშვნელოვანი იქნება და იმედია ქართველი მხედრობა შეასრულებს ამ ისტორიულ დავალებასაც და გაუადვილებს «მხედარ»-ს მასალების დაგროვებას და მასალების მიხედვით უცხოეთის წანაშე თამამად გამოსვლას.

«მხედარი»-ს რედაქტორი

კ ა ვ კ ა ს ი ღ ნ ი — ჭიგნი გაეჭოთა

ნოე რამიშვილი (ბიოგრაფია): რევ ამონი — ქ. ჩოლოყაშვილის სიმღერა; ვლასა მეგლაძე — გოდება; მ. მარუშიძე — ვარდენი (მოთხოვობა); გიორგი ყიფიანი — გრძნობის ძახილი (ლექსი); გიორგი უურული — «ნატევრის თვალი» (ნახულ-გაგონილიდან); გიორგი ყიფიანი — შავი საათი (ლექსი) ა. ქეიბური — ძველი რევულიდან ნასესხები ამბები; ბ. ბებურიშვილი — მე, ბედი და შენ; თამ. ისახარ — დიდი ემიგრანტი ი. მანწყავა — საბრალმდებლო აქმი; მ. ხუნდაძე — დიდი ბრიტანეთი და ინდოეთის პრობლემა. წიგნი შეიცავს ას გვერის.

«მხედ.» ს ა რ ე დ ა ქ ც ი ღ კ ღ ლ ე გ ი ა

მისამართი: —

M. MKEDARI

47, Rue Chardon-Lagache, Paris-16^e.

ଫ୍ରାଙ୍କ ସାମି ଫୁରାଙ୍କୁଣ

IMPRIMERIE DU COMMERCE
8, Grande-Rue
BOURG-LA-REINE (Seine)